


ლიტერატურული გაზეთი

№24 (352) 22 დეკემბერი 2023 - 18 იანვარი 2024 გამომცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით ფასი 80 თეთრი



გიორგი ლობჯანიძე იღბლიანი პალატა ნინო შარაშენიძეს

ეს ბედნიერი პალატაა,
მეუბნება
ანგელოზი —
ნინო ექიმი, —
ნუ გეშინიათ!
აქ არავინ არ მომკვდომია!
თქვენ გენაცვალეთ,
იღბლიანო
პალატებო,
ადამიანის მთელი სიმყიფის მიუხედავად,
სიკვდილს ახლოსაც რომ არ იკარებთ.
როგორ მინდა,
მეც ერთ-ერთი
თქვენგანი ვიყო,
მე — ვინც ახლა
ორი ქვეყნის
საზღვარზე ვდგავარ,
გადასარჩენად
სიცოცხლისკენ
ხელებგანვდილი.

ნინო დარბაისელი სტრონი

მეაააააა!

დიდებანა იცოდა ხოლმე,
დილ-დილაობით კართან მოსული ბუტბუტით რომ ჯვარს გადამწერდა,
დააყოლებდა:
„ამ ჩემი ლოცვის მადლი და ძალი შეგენიოსო“.
პატარობისას ამ ძალისა მჯეროდა კიდევ,
მერე და მერე
უკვე გული მიწვრილდებოდა.
დაბლა — ტოლები მოგელიან,
ამოგაძახიან,
გაგვიანდებთ,
ხოლო ეს ქალი არ დაიშლის,
სიმშვიდით აგშლის,
აუჩქარებლად ცრემლებს ინმენდს ბოლოთი თავშლის!
ხელაპყრობილმა ადამიანმა ლოცვა-მუდარა უსასრულოდაც რომ
აძლიეროს,
ისე ილოცოს,
რომ შუბლი ოფლით კი არა და
სისხლის წვეთებით დაენამოს,
სისხლის წვეთები ზედ მინაზეც რომ ეცემოდეს,
ევედროს მამას
გეთსიმანიის ბაღში ეული,
ეს სასმისი ამაცილეო,
ოღონდაც ნება შენი იყოსო,
ლმერთი ადგება და გადანყვეტილს შეცვლის თავისას?
თუ ერთადერთი ძე არ დაგინდო,
რა ანამოს ადამიანმა? —
რამდენიც გინდა,
უთმე და უხმე,
ეყმე და
ენდე!
ვინ აღარ ამბობს,
დანარჩენები — გზას აცდენილან,
ჩვენ — სამოთხეში მოგველიანო
კიდევ რომ მეთქვა,
დამეფიცა,
ან შენ ან ვინმე დამიჯერებდა,
რომ სამოთხეში მეგულეა ჩემი ადგილი?
მე ერთადერთის იმედი მაქვს, —
რომ რომელიმე ერთ უქმეზე,
წმინდანთა საქმეს დაუღვეველს როცა მოილევე,
მწყემსო კეთილო,
მოიცლი და ჯოჯოხეთშიაც ჩამოიხედავ.
და თუ შემთხვევით თვალი მომკარი, გაგიკვირდება ჩემი გულგრილი გამოხედვა,
რომელიც ამბობს,
მე სიცოცხლეში უარესიც მინახავს და გამომიცდია,
აქ რითი უნდა გამაკვირვოთ?
იქნებ, უბრალოდ, შეგიყვარე,
მწყემსო კეთილო,
როცა დავრწმუნდი,
შენგან არაფერს უნდა ველოდო საპასუხოდ სიყვარულისთვის.
ნუ გეწყინება! —
თან არც იმისი არა მჯერა,
რომ ჩემს ტკივილს რამეს გაუგებ.
მანდ როგორ ხდება, არ ვიცი და დედამინაზე უზარმაზარი ტკივილების გადამტანები
სხვის პანანუნა სატკივარებს რას დაეძებენ!
მწყემსო კეთილო,
ფარა მოგბლავის,
ნუ მიატოვებ საკუთრებას იმათ ხელში,
ვინც ქირის ფასად გამეტებით კომბალს მოიქნევს, —
ესა აქვს საქმე!
მწყემსო კეთილო,
მე ძეძვებში ვარ,
ბატკანი ვარ, შენი მონამე,
დევენად არც ვლირვარ!
რალად მოგბლავი ავდარში
აქ მე:
— ღამეა, ღამე,
ერთი პირი წყალსაც კი სძინავს
ოღონდ ხმა გამე,
მითხარი რამე,
ეს ტკივილები შენი შორი ხმით დამიამე,
მომიხმე
მეააააააააააააააა!



**ნინო
დარბაისელი სტრონი**

ამ მილიარდი პასუხიდან რომელიღაცას
გამოცდილი კუტიურეს
შეკერილი პიჯაკით რომ მოერგება;
კითხვა,
რომელიც თითქოს ხელის განვდენაზე,
კითხვა, რომელიც ჩვენ გვჭირდება
და რომლისთვისაც
თითოეული ვიბადებით ამქვეყანაზე.

გასვენებისას ისეთი დასცხო,
ჩვენ, მეგობრები, სასაფლაოზე
ავტობუსიდან ვერც კი ჩავედით!

**ხალუმი
ბიბლიური ამბებიდან. აბიგაილი — დავით მეფის ერთ-ერთი, ჭკვიანობით განთქმული ცოლი**

სამეფოდ მზრდიდნენ, დედოფალო,
ჩემს ქვეყანაში,
როცა შემოპყრეს თხუთმეტი წლისა,
როცა აქეთ წამოიყვანეს,
მეფემ ხომ მკაცრად გააფრთხილა
ასისთავები,
ამას ხელი არავინ ახლოს,
დედოფლისათვის ძღვნად მჭირდებაო,
ვინ დამინდობდა,
ასისთავებიც და ქალნატრული მეომრებიც
სულ ჯგუფ-ჯგუფად მეუფლებოდნენ.
ბოლოს დამაგდეს მომაკვდავი,
სულ ბოლოს,
როცა გავსისხმდინარდი,
ისევ ქალებმა მომიარეს,
გადამარჩინეს,
ხმა ამომელო?
ვინმეს რამეს გავაგონებდი?

ხელქვეითების წესი არის შურისძიება.
მეფეს — მეფობას ვერასოდეს აპატიებენ.
თვით მესასმისე,
ხომ მეფის პირის მეღვინეა
და ჩემი თვალთ შვესწრებივარ, ყმანვილობისას,
მოფარებულში ხელმწიფის ჯამში რომ იფურთხება
და მესანოლევ —
იჭინთება და მონდომებით
მეფის მოსვლამდე საბრძანისში ჰაერს აფუჭებს.

საჰარამხანოდ,
ძღვნად მეფე როცა მამზადებდა,
თვემდე დასჭირდა.
რომ წამოიყვანეს უთენია,
შანთივით რალაც იარალით
სათქვენოდ დამასაჭურისეს,

წინაც დამცვივითეს,
გამდნარ ფიჭაში არეული მალამოებით მიმომლესეს,
ოცდაერთი დღე დასაბანად ვერ შემოიყვანეს.
მერე აბანო გაახურეს,
კარგად დამზილეს,
წელსაცხებელიც არ დაუკლიათ,
შემოსეს ფერად-ფერადებით,
სირმა-ფორებით,
თქვენთვის მოსართმევ ძღვენს
რარიგადაც ეკადრებოდა,
უხვია მეფე!

მომღერალი ვარ,
პოეტი ვარ,
ერთი მათგანი,
ვინც ულამაზეს ქალთა კრებულში
ტრიალებს მუდამ,
ვინც ზოგისათვის ერთადერთია,
მოკაზმულობას
ან სილამაზეს ვინც მოუწონებს,
მაგრამ ვერცერთი ქალი მისი ვერ შეიქნება.
რა შემოძლია?!
რაც და სადამდეც შემოძლია,
უკან არასდროს დამიხვეია,
განა ხალუმად ამისთვის არ გადამაქციეს?

ათი წელია,
მზის სხივს სარკმელთან ვეგებები,
ათი წელია,
ლინლი — წვერადაც აქ გადამქცა,
აქ დამიმსხვილდა ეს მხარ-ბეჭიც,
ათი წელია,
მე წამდვილი,
ვარსკვლავიანი ზეცა აღარც კი დამინახავს.

აქ, ამ დარბაზში შემოვდივარ,
დროს რომ ვიპოვი და ამ ლურჯ გუმბათს
ვარსკვლავებით მიმოხატულს,
ამ კენტ ღრუბელს,
ამ ოქროს მთვარეს ასე ავცქერი,
ზემაცქერალი თითქოს წამდვილს ვესაუბრები.

ადამიანი თავდახრილთა მოდგმისა არის,
მინას ხნავს, დაბლა იყურება,
კითხულობს?! — დაბლა იყურება,

არყოფნითული

მე რომ ფრინველი ვყოფილიყავი,
მე ვიქნებოდი შენი მტრედი,
ვიგურგურებდი შენს სიახლოვეს და
ვინმესთვის რომ ხმის მიწვდენა დაგჭირდებოდა,
შემომბამბდი მარჯნის ფეხზე პატარა ბარათს,
ავფრინდებოდი და ისევ შენთან,
პასუხიანად დავბრუნდებოდი.

მე რომ მწერი ვყოფილიყავი,
მე ვიქნებოდი მუქშავი ტიკა.
კანში მწარედ ჩაგიჯდებოდი,
სისხლს ამოგწოვდი და
ვერაფრით მომიშორებდი.

მე რომ საჭმელი ვყოფილიყავი,
მე ვიქნებოდი შენი პური გაუმტკიცავი,
გამომცხვარი უსაფუაროდ,
სანდო და ხმელი,
მანიერი და შეუხედავი.

მე რომ სასმელი ვყოფილიყავი,
მე ვიქნებოდი შენი წყალი,
ციდან მიწამდე თითქოს ყველგან
მოდებული,
თავის — უფორმო,
თითქოს გემოს და ფერის არმქონე,
წყურვილის დროს კი შეუტყველი.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ
ამ საერთომდე:

— მე რომ შენს ქვეყნად ვყოფილიყავი,
მე ვიქნებოდი შენი
და არ დამჭირდებოდა ეს ლექსი,
თითქოს მარტივი და თანაც რთული
— არყოფნითული!

ჩვენთაგანი

ხორციც არ უჭამიაო მთელი წელიწადი და
ფრთადადი აღბატროსი სულ ჩანჩალით დადიოდა.

არც რა ჰქონდა,
ჯიბის ფული,
ბინა,
კედლის
რადიო და,
სად ეძინა, ვინ იცოდა,
დღისით — ჩვენში დადიოდა.

არც სოფელში არა ჰქონდა,
ოდა ანდა
წაღდიო და
ვიდრე იყო,
ჩვენთან იყო,
დადიოდა, დადიოდა.

არ ინდობდა არცა ანწყო,
არცა მოწვენიადიო და
არ და აღარ დაელია ამა სოფლის დარდიო და
ცამ თქვა, უნდა წავიყვანო ჩემი
დანაბადიო და
წაიყვანა
სული მისი ცაში კვამლად ადიოდა!

ასე იტყოდა ეგვიპტის დედის ნიაღვი
ბადრი გუგუშვილის ხსოვნას

იქნებ არცა ღირს მომნიფება და დაბადება?!
წვალე-წვალეებით
ვიბადებთ და
პირდაპირ პასუხებში გამოგვახვევენ,
პასუხთა ძუძუს გვანოვებენ,
„ჩუო“, ამბობენ,
ვითომ ჩვენი სინყნარე უნდათ,
სინამდვილეში
სულ პასუხების ხმაურია
და ყველას თითქოს გაჩუმებისა ეშინია,
და არც არავის,
არასოდეს არავის უნდა,
ცოტა გვაცადოს,
მიმოგვახედოს,
არავის უნდა,
რომ ვიპოვოთ ის — რალაც კითხვა,
ამ მილიონი,

მიდის?! — ჯობია, დაბლა იყუროს,
 ნინ იყუროს
 და არა სადღაც, უკან-უკან!
 წერს?! — ძირს დასცქერის,
 კისერი უნდა მოიდრიკოს ყველა მწერალმა!
 ერთადერთია მამაცი — ომში —
 მტრისკენ როცა გაიხედავს,
 თვალს გაუსწორებს!

და ავინყდება ადამიანს,
 საით უნდა იხედებოდეს.
 სმა თავდახრილმაც რომ დაინყოს,
 თასის ბოლოში როცა ჩავა,
 ბოლოს კისერი უნდა გამართოს,
 უნდა თუ არა, ცას ახედოს!
 ადამიანი
 ნამდვილ ზეცას
 უნდა უცქეროდეს თვალმოდარაჯედ.
 ყველა ნათქვამი — ტყუილია,
 ყველა ნამდვირი — ტყუილია,
 ყველა ნასიზმრი — ტყუილია,
 ზეცა თუ არ გამოუვლია!

ჩემი მზე შენ ხარ, დედოფალო,
 წლები გავიდა და ხელმწიფეს არც ახსენებდი,
 თავისი მინის დამტოვებელი,
 ვირზე შემჯდარი,
 ბრძენი ქვრივი აბიგაილი.
 წლები წასაღებს არსად ტოვებენ,
 აბიგაილი!
 უწყლოდ დამტკნარიც ლამაზია ვარდი —
 ხავერდი,
 ოღონდ შორიდან, თორემ თითებში შემოგეფშვინება,
 მარტო ვმღერევიარ და ვარსკვლავებით მოჭედდილი
 შორი გუმბათი ექოდ მიბრუნებს:

ჩემი დედა ხარ,
 დაც და შვილიც,
 მიყვარხარ, ჩემო დედოფალო,
 მიყვარხარ, ჩემო დედოფალო,
 როგორ დავფარო,
 არ დაადუმო,
 არ დაადუმო შენი ხადუმი!

საკენტი

ლამის უნაპირო ცა
 შუშხუნებით ელავს...
 რა თქმა უნდა, გილოცავთ,
 რა თქმა უნდა, ყველას!
 აქ — დაცლაზე სასმისი,
 დაზნექილა სუფრა...
 იქ — არ ესმის ცას მისი,
 ვინც მარტოა, უბრადა.
 აღარც ტკბილი დაქალი,
 აღარც გულით ქება —
 — ასე — წელი ახალი
 უახალწლოდ დგება.
 დარდით განახლები
 ვილას ექვიფოს!
 იქნებ ცივი ხელები
 გულზე დაიკრიფოს...
 მარტო გამოკეტილი
 ვინც არავის ელის,
 მისთვის იყოს კეთილი
 ეს ახალი წელი!

საშობაო — აბა, რაო!

— ქარი ქროდა, ციოდაო, ყინავდაო,
 თოვლმა მინა თეთრად მოამთაბარაო,
 დელავდაო, თურმე, ყველა სულდგმულიო...
 — სასწაულის მოლოდინში, აბა, რაო!
 — გარეთ ძალიც კი არ გაიგდებოდაო,
 ცეცხლთან იჯდა, ვინაც ხნა და დაბარაო.
 კეთილ პატრონს მიელტვოდა ყოველიო.
 — შეყუყულან ჭერქვეშ ერთად, აბა, რაო!
 — ბეთლემს, თურმე, ქალმა მოილოგინაო,
 მამა ღმერთმა შვილი მას მიაბარაო,
 დისა მჯობი და იყავი და დედაო.
 — და ბაგაში ღმერთი იშვა, აბა, რაო!
 — აურაცხელ წყალობაზე წყალობაო
 ზეციერმა ჩვენთვის გადააბა, რაო,
 ცაზე გაჩნდა უცნაური ვარსკვლავიო.
 — ბეთლემისკენ გზას დაადგა, აბა, რაო!
 — სამი მოგვი თან გამოჰყვა სათაყვანოდ
 და ჰეროდემ, იცი, რა დააბარაო?
 აქ დაბრუნდით, მეფის ამბავს მოველიო.
 — ცუდს ლამობდა, მიხვდებოდნენ, აბა, რაო!
 — არა ამცნეს, ყრმა გადარჩა, უცოდველმა
 ღმერთთან ჩვენი ცოდვის ვალი გაბარაო,
 იმ წამებით ზეცად ამაღლებულაო.
 — სასუფეველის გზა გაგვიხსნა, აბა, რაო!
 — დე, მარადის შობის მაღლი გვფარავდესო!
 თუ დავრჩებით როსმე ღვთის ანაბარაო,
 ეს გვერჩიოს ქვეყნად ყველა ანაბარსა!
 — გადავრჩებით, გადავრჩებით, აბა, რაო!



ნათია კაპანაძე

 ადრე
 ვფიქრობდი,
 ყველაფერი შეიცვლებოდა,
 ქარი არხევდა
 გამუდმებით
 ფანჯრის წინ
 ტოტებს,
 სხვა უარესი,
 ალბათ,
 არც კი შეიძლებოდა...
 ყველა რომ მიდის
 და
 წასვლისას
 არაფერს ტოვებს...
 სანამ
 ქარები ჩადგებიან,
 სანამ მარნუხებს
 ისე წამიჭერ,
 დავივიწყო
 ცხოვრება
 ჩემი
 და ყველაფერი,
 რაც სულ მახსოვს
 და
 რაც
 მანუხებს,
 როდესაც
 ჩემგან მიდიან
 და
 სულ მარტო ვრჩები...
 სად არის
 იმ დროს,
 სად ვეძებო
 მე
 გადარჩენა,
 ჩემი ცხოვრება:
 ნამდვილი
 თუ
 მხოლოდ ასლები?!
 გამომიტანე
 საბოლოოდ,
 გთხოვ,
 განაჩენი
 და
 საკუთარ თავს
 მეც,
 როგორღაც,
 დავემსგავსები...
 ეს არის მხოლოდ
 რაც შემომრჩა,
 რაც
 მაბადია,
 და
 ჩემს სულს ასე
 რაც ანუხებს,
 რაც განარისხებს,
 თუ ჩემმა თავმა
 არასოდეს
 არ მაპატია,
 შენ მოუარე
 უყვავილო
 ჩემ კიპარისებს...
 ან
 გაახარე
 ჩემ სახელზე
 მხოლოდ იფნები

და გაატანე
 ყოველ
 რიჟრაჟს
 შენი ცხოვრება,
 ყოველთვის,
 როცა —
 დაღლილი
 და
 მარტო იქნები,
 ყოველთვის,
 როცა —
 არაფერი
 არ გენდომება...

როგორღაც უნდა ეს ცხოვრება ჩემად ჩავთვალო
 და ავითანო ყველაფერი მეც სხვების მსგავსად,
 უბრალოდ, მინდა,
 ჩემს დაბინდულ ფიქრში ჩამთვლიმოს —
 არ ვიყო არსად!

ნეტავ ყველაფერს ვივინყებდე სამარადისოდ,
 ყველა ტკივილის განცდისა და შეგრძნების ფასად,
 ყველამ უკლებლივ,
 ვინც მიხსენებს, გადამვიწყოს —
 არ ვიყო არსად!

ოდესმე ტირილამდე გიცინია?
 ქარში სიარული მაშინებს.
 შენი მზერა თითებზე ცივია
 და მარიღებ მაშინვე...

აუხსნელი მარტოობა თუ გიგრძნია?
 გულისცემას ვერაფრით რომ იოკებ.
 მარტოობა შეუცნობი სიბრძნეა,
 თან იბრძვი და თან არაფერს იტოვებ...

გაქცევაზე არასოდეს გიფიქრია?
 და მერე რა, თუ არავის ახსოვხარ.
 ეს ცხოვრება მეეზოვის ღიმილია,
 სისხამ დილით ასე რომ ჰგავს მაცხოვარს...

ეს გზა ბნელია,
 ვერ მიალნევე ამ გზის კიდემდე.
 ვერ გადალახავ ადიდებულ
 მღვრიე მდინარეს.
 სანამ შანსი გაქვს —
 ირმუნე და შენს თავს მიენდე,
 სანამ ყველაფერს დაკარგავ და
 დიდხანს ინანებ...

რა გაგაჩნია
 (საკითხავი ახლა ესაა),
 რას გაურბიხარ,
 მიისწრაფვი საით ან კიდე
 თუ იცი, რომ ის, რაც გჭირდება,
 სხვა მხარესაა,
 შენ კი სიცოცხლე მოგისაჯვს,
 მხრებზე აგკიდეს.

ისე ნუ იზამ, ამოვილო გულისნადები,
 ცხვირწინ დაგიდო ყველაფერი, გავამზეურო,
 როგორ დამდევენ გამუდმებით უკან ლანდები
 და რომ ვერაფრით მოვიშორე, საუბედუროდ...
 რომ ამ ათობით სურვილიდან ვერ ახდა ერთიც,
 მოგიყვე, როგორ დავრჩი მარტო.

ვიბრძვი და ვობლობ.
 რომ ერთიანად მოკვდა ჩემში რწმენა და ღმერთი
 და უკან მიჰყვა დანყველილი ჩემი სამშობლო.
 რაის წილხედრი, თუ რამის გნამს, თავის იწამე,
 გაემე ყველას და ყველაფერს, ეგეც ვალია,
 და გაიხსენე, ყველაფრისთვის როგორ ეწამე
 მარტო დარჩი და სიჩუმეში სული დალიე...

ალარ მთელდება, ჩამომენგრა სულის ღიობი
 და ველოდები ამ ცხოვრების ბოლო ქარიშხალს,
 მაშინ, როდესაც ნათლად ვგრძნობდი,
 როგორ მტკიოდი,
 როცა არც მე და არც სხვა ვინმე ჰგავდა თავის თავს.
 ველარ შევძელი, გავქცეოდი და თავი ისე
 მეჩვენებინა, თითქოს დარდი დავტიე ჩემში,
 არ გამოვიდა, ვერაფერი ვერ დავვიწყე
 და რასაც ვმალავ — ვმალავ, სანამ ბოლომდე შემშლის.
 სანამ გავხდები საბოლოოდ ტკივილის ხნული
 და ტკივილები სანამ თავად ჩამმარხავს სადმე,
 სანამ ბოლოჯერ გაიბრძოლებს დაღლილი გული,
 გიბრუნებ უცვლელს და ხელუხლებს იმას, რაც მანდე...



ნინუკა ქოიავა

რაც ტანჯვასი იზრდება, ახლა უკვე სმენადაა ქცეული

სანამ ისევ გაჩნდება გემო, სუნის და გაქრება მჭიდრო რიგებად მონოლითი რკინის ნერვები და დილის ზარების საშინელი რეკვა, სანამ ჩემი მოგონებები ფეხსაცმლებზე თასმებს შეიკრავენ, რომ წინ იარონ, სანამ მკერდში გაიღვიძებენ ძუძუს თავები და ღამე დღედ იქცევა,

მაჯგობში ვიგროვებს სისხლს და დანებებას არ ვაპირებ. რადგანაც ახლა ჩემს კარზე აკაკუნებენ.

როგორმე დროა, გამოვასწორო ძრწოლა, შიში და სიჩუმეში ამოზრდილი ავი ფიქრები, რომ სახლთან საშინელი სიკვდილი მელის, რომელსაც კარი უნდა გავუღო, უნდა ავდგე, შევკვებო კუთხის დერეფანი და თავდახრილმა წამოვიწყო სვლა კარისკენ.

კარის სახელური გადავნიე, როგორც ჯარისკაცები ტენიან ავტომატებს. კარი ღრიალში ჩაყოლილმა ჭინკებმა გააღეს, რომლებიც აქ ჩემამდე იყვნენ. იქ დამხვდა ძალღების ყეფა, დილა და ნაგავსაყრელი მანქანების გრუხუნის, რომელთაც მთელი ქუჩის ნარჩენები რკინის ხურჯინში მოაქციეს.

ამას გაუფლეს სახლის კარი და არა სიკვდილს! და არა სიკვდილს!

როცა უბნის დედაბრებს მშვიდად ეძინათ ნაბიჯით უკან — შინ შემოვიპატიფე ქუჩიდან შემოვლილი ჭაბუკი მენაგვეების დაუნანვერებელი ფიქრები.

დანარცხებულები და შემდეგ ჰაერში ატყორცნილები. ცალ ფეხზე ჩამოკიდებულები, უსწავლელები, მომღიმარები, ჭუჭყიანები და ფიცრებისგან აწყობილები —

ახლა უკვე ჩემს გულისცემას შეუერთდნენ.

ოქროს თავენი ივლისის თვეში

ძვირფასო დედა და მამა,

უკვე მერამდენე სიყვარული მოკვდა ჩემში და არ ვიცი, რითი ამოვივსო ჩუმად მფეთქავი ღრმულები.

ნუთუ ყველა იმ სიკვდილით კვდება, რითიც იცხოვრა?

მე არ მომწონს ამაზე ფიქრი იმიტომ, რომ თუ თქვენ დაგიჯერებთ, მე არასოდეს მიცხოვრია სწორად.

გახსოვთ? ბავშვობაში ოქროს თევზი მზეზე დამრჩა, თქვენი საჩუქარი ივლისის თვეში, მაშინ სულ პატარა ვიყავი, ალბათ ოთხის და ახლა ვფიქრობ, რომ ასეთივე იქნება ჩემი სიკვდილიც — უსათუოდ სადმე დავრჩები, სადაც ვილაცხას დავავინწყდები და იმ თევზით

მეც დამავინწყდება ის, ვილაც, ვისაც ჩემი გადარჩენა მართლაც შეეძლო და მე ამას ვიმსახურებ.

იმიტომ, რომ არაფერი გამომდის დავინწყებაზე უკეთ.

ფეხსაცმლების გვირგვინი

და რატომ უნდა წამი, როცა ყველაფრის ბატონი ვიყავი — გასხლტა. გავრბივარ და ვეზიდები წყლებს რკინის სათლებით, იმ ტკივილით, როცა ნაღველს სისხლი აწვება და ნერტილოვნად გჩხვლტეს. მონადინება ველარ მიშველის.

ველარც ძილი გადამარჩენს — შენ თურმე მაშინ მართალი იყავი, როცა ზენარი გადაასწორე და ჩამოკიდე ის შიშის სარკე, სადაც მე და შენ უტყავოდ ვჩანვართ და ვიყურებით ანარეკლიდან, სიშიშვლები უკვე სიშიშვლის ფეხსაცმლებთან. იატაკზე ჩვენი ტყავები ყრია, როგორც სირცხვილი, უიმედობა, რომლებმაც ნელი ტანგო უკვე იცეკვეს იმ დიდი განცდით, ადამიანს რომ იპყრობს, ჩვენსავით დიდებს, ნარუმატებლებს, თავგანწირულებს და კვირის ბოლოს ამაოდ გარჯილებს.

ყვავილეტი გადავიდა

ჩემს მოსახვევთან რამდენიმე ტრაფარეტია უცხო მძღოლებისთვის, სამკუთხედი, ზიგზაგი, მრგვალი, ნებო, ფურცელი, საბავშვო ბაღი. გვერდით კედელი, ნესტისგან უკვე თითქმის შექმნილი კედელზე შავი ასობით გარკვეულია, რომ „ყვავილები გადავიდა“.

ეს ასე მოხდა. ახლა დამარცხდნენ და შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ იქაურობას ადრე, ყველა სეზონზე ყვავილებით ავსებდნენ, მაგრამ ეტყობა, რალაცა მოხდა და მათზე მხოლოდ ეს თქვეს...

ცნობილი მარცხი

ისევე ჩემს სანდო საჯდომ ძვლებზე მოვკალათდი კედლებით და ღმერთებით გარშემორტყმული.

ამ თვეში აღარ უნდა დამავინწყეს, რომ როდესაც წამოვდგები, ფანჯარა გამოვალ და თვალები იმ ცხოვრებას გავუწნორო რომლის დატოვებასაც ვაპირებ. უშიშრად ვიდგე, ფხიზლად უგრძობლად და ვალიარო,

რომ ის აღარ არსებობს.

წინააღმდეგობა არ გავუწიო „მაგრამ“-„კიმაგრამს“, ტელევიზორს წამოვარტყა და ჩავერთო.

ოცდაერთი თებერვალი

ხელი არ ჩაყო იმ სხეულში, სადაც ნაღმია.

სიცოცხლე კველი დანაკარგია

ნელს ვიჭრი და ვაუქმებ წინ გადადგმულ ნაბიჯებს, ვინ არ დაბრუნდებოდა უკან? მე ვფიქრობ, ყველა, ვინც ბავშვობისას იმალებოდა და მეც ვბრუნდები მინების გავლით, იმ მიტევებით, შენ რომ გინდოდა მომავალ, ახალ მიტევებამდე. გზად შეკვეცილი აბზაცებია, სადაც ძნელია აზრის მოკრეფა. მაგრამ ვფიქრობდი, კარგად გაგზავნიდი და მერე ქუსლზე გავილეოდი, ვფიქრობდი მარტოს — უიარალოდ ბნელში დამეხრჩვე — ერთი ნაბიჯით, უთქმელი სიტყვით და ვერაფერი გექნა სანაცვლოდ. ეს არ მომინდა — დავკრეფ ჩემსავე თავისუფლებას, როგორც მკვდარ შროშნებს და თვითმფრინავი უჩემოდ წავა. და ამ საღამოს, ცარიელ სახლში არაფერია უფრო საჭირო და უფრო მეტად გულისგამხლეჩი, ვიდრე ლოგინის მარჯვენა მხარეს ჩემი სხეულით შევსებული მომცრო ადგილი.

გამთენიისას ფეხსაცმლებზე თასმებს შევიკრავ და მალე ვიტყვი: „რა სულელი ხარ ამ დილით, ქალო!“ რადგან დავყარე დამარცხებულმა შორი გზა, ფიქრი, სურვილი, ზრუნვა და აღარავინ არ დარჩა ჩემგან. თმებს ვიჭრი სწორად და შენს ლამბაქზე რიგიანად, ლამაზად ვანყო.

სახლიდან წასვლა

ნაბიჯი პირდაპირ კედელში გადმოვდგი. კედლები არსად გაჭრილა, არც ნაქცეულა, აგური ტალახს არ ასცდენია, არც საძირკველი ან სახურავი გატოკებულა, ჩვენ ვიყავით დასაწყისები ჩვენივე თავის, მე და ჩემი ყოფილი, შავგვრემანი ქმარი. ისეთი ახლები, რომ ჰელიუმის ბუშტებით ზევით, ზევით დაფრინავდით და ვერცერთმა შევიგრძენით სამშობიარო სახლში გაკვირებული ახალი ბავშვები,

სამი კილოგრამი და ექვსასი გრამი უფრო მძიმე არ იყო,
ვიდრე ის ზურგჩანთები,
რომლებსაც სასწავლებლებში დავატარებდით.
ახლა ვიცი, რომ უნდა გავიდეს ზამთრები,
რომლებიც ცალ-ცალკე დაგვრჩა.
და გამარჯობა, ჩემო ტკბილო,
უკვე ცხრა წელია, დაიბადე.
პანანინა ფიფქებად თოვს,
თავს ვერ ვუყრი ცხრა დღეს ერთად,
ჩემო ტკბილო,
არ დაივიწყო რომ სამყარო ფერადი სიუცხოვეა.
ათი ათასი გზებით იარე.
შენ არ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომები
და თუ მაინც მოინდომებ ეომო დროს —
გახსოვდეს, რომ ყველაფერი,
რასაც ხედავ, სუნთქავ და შეიგრძნობ
და ყველაფერი, რაც გიშლის ხედვას,
სუნთქვას და შეგრძნებას,
არ შექმნილა მხოლოდ შენთვის.

და რამე საჩემო

ჩემი ის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ ღრიალებს,
ზოგჯერ კი მკვდარივით დუმს —
მეორედ აღარ იქნება.
ეს ვიცი.
არაფერი გამოგვივიდა,
არა გვაქვს ბინა და ძველებური ჟინი.
ახლა ზაფხული ნელ-ნელა გავა,
შემოდგომისთვის გადავივინწყებ,
გული კი ისევ დამრჩება ერთგან —
გამშეშებული.
მხოლოდ სიზმრები დამეხმარება
და რამე საქმე.

ვინც წუთში ასოცდაათი დარტყმით ფეთქავს,
სამოცდაერთი მილიმეტრია,
ის მე მეკუთვნი ამოსუნთქვის პირველ წამამდე,
მან მომიშალა კრაზანების ბუდე
გულის სიღრმეში,
დანიშნულა — ერთი აბი ორ-ორჯერ დღეში,
ბევრი წყალი და უშფოთველობა.
ეს ცა ჩემია რალაც გაგებით
და მომავალი
ლამის გრძელი, ჭყინტი სიზმრები
ჩვენი შეხვედრის ადგილებია.

რეა

წუხელ შოკოლადის ტორტი გამოვაცხვე,
ბანანით და ნუშის ფანტელებით,
ცხრა სანთელი შემოვურიგე,
როგორც ელექტრო ბოძები.
მეთე ხელის კანკალით შუაგულში ჩავარჭე,
მაგრამ გვერდებს ვერაფერი მოვუხერხე...
ფარდას ხდიდა ტორტის შიდა საიდუმლოებებს.
ავდექი და ცისფერი ხელსახოცით შევფუთე.
ახლა ვფიქრობ, რა სულელური საქციელია.
ნათესავები გაიცინებენ,
ჩემს შვილს კი ჩემი კვლავაც შერცხვება,
მათ რა იციან, როგორ მიკანკალებდა გული,
როცა ღუმელიდან გამომქონდა ფაფუკი ბისკვიტები
ან შოკოლადის კრემის რომ მეშინოდა
ისე,
იმდენად, ვერც კი ვავსინჯე.
მათი უშველებელ პირებად სიცილი მესმის.
წინასწარი.
რომ კვლავაც, წელსაც, ვერაფერი გამომივიდა.
ხომ არ მერჩინა, დედაჩემისთვის ხორცი მეყიდა
ან მაგიდაზე უქეიფოდ ფული დამედო,
მამაჩემივით...

წავალ მტკვრის პირას, გულს გავიხეთქავ.
ველარ ვუყურებ დაკრეჭილ კბილებს,
ველარც ჭიქებში ყლუპებად დარჩენილ ღვინოებს,
ველარც ცხიმგროვებს,
ცხვირის მიდამოს გალაჟღერებულს,
ვერც ვაი-ვივით შეგრძობებულ მათ სამკაულებს,
ძვლები მიმძიმდება. ძვლები გამირბის.
ჯემპრში სახეჩამალულმა
კარი როცა გამოვიხურე,
ჟივილ-ხივილი არ შეწყვეტილა.

დედაჩემის ძველ ზარდახშაში
ახლართული ვერცხლის ძეწკვები ეყარა,
ვერაფრით ვერ გაუგებდი თავსა და ბოლოს,
არც ის ვიცოდი, ერთი იყო თუ რამოდენიმე.
მათ გვერდით, სუფრის თავში, ბოლოში,
ან ოთახის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში.
მეც იმ ზარდახშას ვემსგავსები.
კართან ვიდექი, ალბათ, მთელი საათი.
ვისი საქმეა ჩემი ცრემლები?!
და სირბილისას ვერ მოვაშორე
კიბეს თვალები, მოაჯირს — მაჯა.



ნათია
კაპანაძე

მეზობარო

იყავი ისეთი,
როგორიც
გინდოდა,
რომ ყოფილიყავი, —
ალაღი.
შენი სიხარული
არავის
განდო,
სადამდეც შეძლებ,
დამალე!
და
თუ
ეგ თვალები
ოდესმე
გათქვამენ
შენს გულისნადებს
და
ჩუმ ფიქრებს,
გახსოვდეს,
რომ სუსტებს
ყველაფერს
ჰპარავენ
სანაცვლოდ?!
ვერაფერს
ვერ იღებს.
უნდა აიძულო შენს თავს,
რომ
ნამდვილი
რაც კი გაქვს,
არასდროს
შეცვალო,
მაგრამ თუ
გაძლება
არ იყო ადვილი
და ცოტა
გიკლია
შემლამდე,
გახსოვდეს,
არსებობს
ამქვეყნად
ადგილი
და მხარი,
სიმშვიდის გარანტი,
ვინც ვერ აისრულა
ვერასდროს
წადილი,
ჩაქრა
და
ვერ მიდის
კარამდე.
მაგრამ
ყველაფერი
უთქმელად გაიგო —
რა გიჭირს
ან
რა
გჭირდება
და იქნებ
ის კარიც
შენთვის
გაიღო,
რომ არ
გაგიჭირდეს
მიგნება...

მელაპარაკე ყვავილებზე, როგორ ჭკნებიან,
როგორ ვერ მიაქვთ ადრესატთან დანაბარები,

მელაპარაკე, ოცნებები როცა კვდებიან,
როგორ გადააქვთ,
როგორ რთულად, როგორ წამებით...
როგორ ცდილობენ, მოიშორონ ყოფის სიმლაშე,
სანამ შეკრავენ ახალ გზებს და ახალ კამარებს,
რომ გამოჩენა ერიდებთ ყველას წინაშე,
ვიდრე დრო ყველა მოგონებას დაასამარებს.
მაგრამ ისიც თქვი, რომ არასდროს არა აქვს აზრი,
გჯეროდეს —
ვილაც შენთვის გაჩნდა და შენკენ მოდის,
და დასასრულიც ამ ყველაფრის ასეთი არის:
რომ აზრი არ აქვს არც ვინმეს და
არც რამის ლოდინს...
მელაპარაკე, ჩემო თავო, არ გინდა მოთქმა,
არ გინდა ფიქრებს მიეძალო თითქოს ამ დილით,
არ გაიხსენო განვლილი გზა, ღმერთი და მოდგმა
და რომ ვერაფრით აიხდინე შენი წადილი.
მელაპარაკე, მომიყვი, რა გსურდა თავად,
რატომ გინდოდა, გასაქცევი გქონოდა სადმე,
ან რატომ გახდი უცნაური, რატომ ხარ ავად,
რას გრძნობდი, როცა საკუთარ თავს გამოესალმე?!
თქვი ყველაფერი, რაც გინდა და
ის, რაც გულში გაქვს,
ნუ მომიყვები რალაც ზღაპრებს, რალაც არაკებს —
რომ ჩვენ ორს შორის მოსაყოლი ამ დუმილს მიაქვს,
მელაპარაკე, ჩემო თავო, მელაპარაკე!

ზიხარ და გაჰყურებ შენს თვალწინ
ფიცარზე ჩაფხაგულ ანჯამებს
სრულდება — დაიწყო რაც უნინ,
ცხოვრება თავის თავს აჯამებს!

სიცოცხლე ცხოვრების მიღმა,
სიბრაზით სახსეა ეს გული,
ზეცაზე ნათელი მინაა
ყველაზე ნაღდი და ერთგული!

სალამი ყველას! ახლა, ვისაც არ ეძინება,
ვისაც ფიქრი აქვს ან მომენტი ან ტკბობა წამით,
ვინც ფორიაქობს, რომ სიმშვიდის მიეცეს ნება,
მიეცეს ნება, შვება პოვოს ვინმეთი, რამით.

ვინც ამ ქალაქის ვინრო ქუჩებს მიჰყვება მარტო
და არავისგან არ მოითხოვს არასდროს შველას,
ვინც გაიკვალა თავისი გზა მრუდ და ფართო,
ვინც საკუთარ თავს მიეგება...
სალამი ყველას!

სადაც დამტოვე, კვლავ იქ დაგვხვები —
თითქოს ნაბიჯის გადადგმა ჭირდეს,
თითქოს ტკივილებს, რასაც გაუზრბი,
გარს აკრავს მჭიდროდ ფერადი რიდე,
თითქოს მივდივარ და მაინც მრჩება
დაუძლეველი ფიქრი ყოველი
და ვეგუები ისევ ფორიაქს,
რადგან სიმშვიდეს აღარ მოველი.

შეხედე, როგორ მიილიოს დღეები.
წლები. და გზა სავალი.
ვერ გავიხსენებ, უნინ მარტო თუ
როგორ ვძლებდი — გარდამავალი.
უნდა წავიდე, გზას გავუყვე უსასრულოს,
როგორც დავრიში.
შეცვლას ვერ შევძლებ და
უმინო ხეტილასაც ველარ დავიშლი.

ილია

ტანმალა, ნითლად შეფერილ გოგრა ბლის ხესთან მოყვარათ ბავშვებს თავი.

შედარებით ყოჩაღები კენწეროზე მოქცეულიყვნენ და დანარჩენებს იქიდან ამარაგებდნენ ბლის მნიფე კუნწულებით.

იქვე მხრებში მოხრილი, ხელჯოხზე დაყრდობილი მოხუცი ქალი იდგა და გულშეკუმშული ისმენდა შვილიშვილზე საყვედურებს:

„ილიამ ქვა მესროლა... ილიამ თმის სამაგრი წამართვა... ილიამ დამარტყა... ილიამ შეიგინა...“

ილია კი ყურს არ იბერტყავდა, ილლიაში ჰყავდა მოქცეული თავისი უბნელი თანატოლი — გოგა და გამეტებით ურტყამდა ნკიპურტებს.

დედაჩემს ვეტყვი, რომ მანვალე! — დაემუქრა გოგა და ხელიდან დაუსხლტა. ილიას გულთან არ მიუტანია გოგას მუქარა, თითებში მოქცეულ ბალს ხელი მოუჭირა და კურკა შიგ შუბლში მოარტყა.

საჩვიარზე მისულ გოგას დედას ეზოში შეეგება ილიას დედა, სანამ შვილზე საყვედურს მოისმენდა, მხრების აჩევივით იმართლა თავი:

— რა გქნა, ეგეთი ციცვისსილიანია, მერე კი დედამთილზე მიანიშნა და ჩუმად გადაულაპარაკა, — ამის გათამამებულია, — აბა, კი არა, გაუბრაზდეს და დაარიგოს, თავზე ხელს უსვამს, ორი წლის ბავშვივით დაფოფინებს, ამოუჩემებია, ბიჭია და სიტბოს გამოხატვა უჭირსო.

ამ დროს ილია ბლით დახუნძლული ტოტით შეიჭრა ეზოში, გემრიელად ილუკმებოდა და ლილინებდა.

შვილის საქციელზე ბრაზით წამოენთო ქალი და ილია სხვენში გამოკეტა.

ბევერი ეხვეწა და ემუდარა მოხუცი — გაულე კარი, სხვანაირად გააგებინე ცუდად რომ არ უნდა მოიქცეს, ვგრე უარესს იზამსო, — მაგრამ ვერაფერს გახდა.

მერე იფიქრა, ჩემს ჯინაზე უფრო არ გამოუშვებსო და იქაურობას გაერიდა.

მოხუცის არ ყოფნაში დრო იხელთა რძალმა და დიდ კორდონის ყუთში აკურათულად ჩალაგებული მისი ძველი ნივთები გადასაყრელად გამოიტანა.

შინ დაბრუნებულმა მოხუცმა მოისაკლისა თავისი ნივთები, მაგრამ არაფერი უთქვამს.

გვიან ლამით გარედან შემოსულმა ხმაურმა შეაერთო. ილია ხომ არაა ნეტავ, არაფერი მოინიოსო, გაიფიქრა და ფანჯრიდან გაიხედა. ილია სხვენისკენ მიათრევა და კორდონის ყუთს...

იცნო თავისი ნივთები მოხუცმა და სევდიან თვალბში მზე ჩაუდგა, გული აურქროლდა, ძარღვებში სისხლი აუმოძრავდა, ძალ-ღონით ავესო სხეული... ბებო გენაცვალოს... — ჩაიბუბბუბა და ჩიტვივით მსუბუქი დაეშვა საწოლზე.

ილიამაც შენიშნა ბებია, მაგრამ გული გაიმაგრა — მომეჩვენა ალბათო.

მოხუცი კი არა და არ დააძინა სიხარულმა, გათენებამდე გაბადრული სახით იწვა და თვალის შვილიშვილის ოთახისკენ ეჭირა...

მეორე დღეს 12 საათი იქნებოდა, ფერდაკარგული ქალი ილიასთან რომ მივიდა და შეპარვით უთხრა: მგონი, ბებიაშენი მოკვდა, საბანშია გახვეული, სულ გაყინულიაო.

ბუზბევივით აირივინე ილიას სახლში მეზობლები. ილიას დანახვისას სინანულით ამბობდნენ: სანყალ ქალს შვილიშვილი მამისც ყყოლოდა კარგი, იმედინად წავიდოდა იმ ქვეყნადო. საბასუხოდ ილია ზიზლით ადვენებდა ყველას თვალს და მხოლოდ იმას ნუხხდა ჩუმად, თავისთვის — ნეტავ გუშინ არ მომჩვენებოდა ბებია, ნეტავ მართლა დაენახა თავისი ნივთები რომ გადავუჩინეო...

იამარი

მეხსეუბნებას მარცვლებით დაკობლილ მინას ირიბად დასჩერებოდა ლაზარე და გონებაში მოინივინებდა მისი გოლი გაჰქონდა.

— ჰა, ბიჭო, კიდევ არ უთხარი იმ გოგოს რომ გიყვარს?



— ვაა, ბურთის გარდა გიყვარს კიდევ რამე? — ჭრილობაზე მარილი დააყარა დიამამ.

— ეგ შენი ნითელი ყურების საქმე არაა, — ცალკეად გაეპასუხა ლაზარე და ახლა იმას მოარტყა გვერდებში ბურთი.

— აღარ იტყვი ვინ გიყვარს ასეთი? — არ ცხრებოდა ნიკა.

— შენ რა უნდა გითხრას, დაწმუნებული ვარ, იმ გოგოსთვისაც არ უთქვამს ჯერ, — არც დიამამ ასვენებდა ცნობისმოყვარეობა.

— მოიცა, მოიცა, მართლა არ გითქვამს იმ გოგოსთვის, რომ გიყვარს? ხელზე დაიხვიეს დიამამ ნათქვამი ბიჭებმა და ერთმუშტად დაესხნენ ლაზარეს.

— მოკეტეთ მეთქი! — მუშტი მოიღერა ლაზარემ.

— ხო, კარგი, კარგი, ეკლესიაში მამისც წამოდი, იცი, რა კარგი გოგოები არიან? — სიტუაციის განვითარება სცადა ერთერთმა.

— ხო, წინა კვირას ახალი გოგო მოვიდა, მანამდე არ შემინიშნავს, — იამარი ჰქვია, — გამომცდელად გადახედა ნიკამ ლაზარეს.

სახელის გაგონებაზე ლაზარეს ლოყები აენჭა.

— ეს ორი სახელი რა პონტია, ან ია დაერქმიათ ან მარი, — ჩაიციხა ლაზარემ.

— რა შენი საქმეა, ვის რა ერქმევა? აიჭრა ლაზარე და ლაშასაც აწვენიან ბურთის გემო.

ამ დროს გზის მოპირდაპირე მხარეს მანქანა გაჩერდა, ფანჯრიდან მამამ გავდმოყო თავი და მჭექარე ხმით დაიძახა — ლაზარე, წამოდი ეკლესიაში!

— არ ვიცოდი, ეკლესიაში თუ დადიოდი.

— შემთხვევით გავიგე წინა კვირას, რომ მამა პლატონი მამაშენი, — თქვა იამარი და მამინვე თემა შეცვალა, — პარასკევს რატომ არ იყავი სტადიონზე?

— ფეხი მტკიოდა.

— ახლაც მტკიავ?

— ახლა აღარ.

— ანუ, ხვალ ისევ ითამაშებ ფეხბურთს? გოგოებმა გადაწყვიტეთ, გამამხნიველები პლაკატები დავამზადოთ და გიგულშემატკივროთ.

— აბა, რა, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ ხვალ! — ნიშნისმოგებით უთხრა ლაზარემ და თვალის ჩაუკრა.

იამარის ლოყები აღისფრად აენტო.

ლაზარეს სიხარულისგან გული საგულეში აღარ ეტეოდა და გამარჯვებული სახით უყურებდა ტაძარში მყოფ ძმაკაცებს.

მალვიძარას დარეკვამდე ათი წუთით ადრე გაეღვიძა მამაოს. ეკლესიაში წასასვლელად დაინყო მომზადება.

გარეთ გასულს ელდა ეცა — ლაზარე ამდგარიყო და მანქანასთან იდგა.

— ამ დილაადრიან რამ აგაყენა? — ეჭვის თვალთ გადახედა შვილს.

ჭის მხენაელი

მინევდა ყოფნა? მას რომ ვუყურებ, გული ისე უცნაურად გადამიქანდება ხოლმე, ეტყობა, ცოტა ასაკის ბრალიცაა. ისე, სიყვარულთან ასაკი რა მოსატანია? ვანა რამეს ნიშნავს ათი წელი? თანაც, ჩემი უერთგავიგონე, მეგობარს რომ ეუბნებოდა, ცოლად მხოლოდ ჭის მშენებელს გავყვებო...

იმას გეუბნებოდი, ჩემო შარიკა, ჭის აშენებას ცოტა დრო ხომ არ უნდა, ამასობაში, იქნებ შეუყვარდეს კიდევ ერთს.

შარიკამ საპასუხოდ კულე გააქვია. — გიხარია, ხო? ვიცი, ვიცი, რომ გიხარია. შენ ჩემი ერთგული მეგობარი ხარ, — გულზე მიიკრა ლაშამ ძალი და ღრუბელგადაყრილ ცას გულდამიმდებულმა ახელა...

გვანცასთან მისულმა ელენემ მოუთმენლად იკითხა: — რა მოხდა, გოგო, რა დაემართა იმ შენს ჭის მშენებელს?

— ნუ მკითხავ გოგო... — დივანზე დაემვა გვანცა და მეგობარსაც ანიშნა, დამჯდარიყო, — გეფიცები, ახლაც ვერ დამიჯერებია, სიზმარი მგონია, იმ დღით, ფანჯრიდან დავინახე, მონდომებით მუშაობდა, თავისი ძალი კი ეზოს ბოლოში იყო.

დედაჩემმა მთხოვა, ხაჭაპური გამეტანა მისთვის. გავედი თუ არა, ამ წყნარმა ძალი უეცრად ყეფა ატეხა, თან ისეთი სისწრაფით გამოქანდა, მეგონა, ცოცხლად შემჭამდა, ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, ამიარა გვერდი და ჭამი გადახტა... ელდა მეცა, ავტეხე ყვირილი, საბრალო ძალი ჭამი ჩავარდა-მეთქი, იქით დედაჩემი გამოვარდა, აქეთ კარის მეზობელი, ჩავიხედეთ ჭამი და ნეტავ არ ჩამებედა, — თვალბევი ავცრემლა გვანცას, — გულწასული ეგდო სანყალი ბიჭი, ძალი კი გულზე შესდგომოდა და სახეზე უსვამდა ენას, თან ისე გულსაკლავად ნკმუტუნებდა...

— უფ, გამაჟრჟოლა, — მკლავზე დაიხედა ელენემ.

— გახსოვს, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, წინა დღეს ხუმრობით რომ გითხარი, ცოლად მხოლოდ ჭის მშენებელს გავყვები-მეთქი? მგონი, გაიგონა საბრალო, — ამოიხვნეშა გვანცამ და ლაპარაკი ღიმილშეპარულად გააგრძელა: — გუშინ რა მოხდა, არ მკითხავ?

— გუშინ რაღა მოხდა? — ფეხი ფეხზე გადაიდო ელენემ.

— ხომ იცი, ის ბიჭი, დათო. სალოს დაბადების დღეზე რომ გავიცანი, მთელი ორი კვირა, რომ არ მასვენებდა და პაემანზე მეპატიჟებოდა, გუშინ სასწავლებლთან

თუ მოვიწოდებ, არაფერი დარჩება.
ჩემი საქმის მე ვარ მცოდნე,
არაფერს მყავს დამშლელი,
სხვა ხატავს, მე ვასუფთავებ,
რადგანაც ვარ — საშლელი!
ფარგალას, ფუნჯას და ფანქარს გულს
შემოეყარათ.

— ეს ახლოს გასაკარებელი არაა. ყველაფერს გააფუჭებსო, — შესძახეს და ფურცელს გადაეფარნენ.

ხან აქედან მოუბრინა საშლელმა, ხან იქიდან, მაგრამ ვერაფერს გახდა. მეგობრები ისე იცავდნენ თავიანთ ნახატს, რომ ვერაფრით მიუდგა. ბოლოს შეეხვეწა — შეცდომებს მაინც გავასწორებ, გეფიცებით, სხვას არაფერს ხელს არ ვახლეებო.

ფარგალა და ფუნჯა განანწყებდნენ — სად ხედავ, აბა შეცდომებს, შეხედე, რა ლამაზი ნახატიაო — დაუნყეს დარწმუნება აბეზარ საშლელს. მან კი ჩაიციხა:

— როგორ არა. აბა, ყურადღებით დააკვირდით.

მეგობრებმა ნახატს შეხედეს, მაგრამ შეცდომა მაინც ვერ აღმოაჩინეს.

— შეხედეთ, ნახატზე ხომ ზაფხულია? — კი, ზაფხულია, — თქვა ფუნჯამ.

— ნამდვილად ზაფხულია, — დაეთანხმა ფანქარი.

— კი, ასეა, — დასძინა ფარგალამ.

— მაშინ სახლების საკვამურიდან კვამლი რატომ ამოდის? აბა, ზაფხულში ღუმელს ვინ ანთებს?

მეგობრები მიხვდნენ, რომ მართლაც შეცდომა ჰქონდათ დაშვებული. სხვა გზა არ იყო — საშლელს უფლება მისცეს, მხოლოდ კვამლი წაეშალა. საშლელმა ხელეხი დაიკაპინა და საგულდაგულოდ წაშალა ყველა სახლიდან ამოსული კვამლი.

— ესეც ასეო, — თქვა ბოლოს და ამაყად გახედა დანარჩენებს, — ახლა ნახატი ნამდვილად სრულყოფილია, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან.

დანარჩენებიც კმაყოფილებით ჩანდნენ და ღიმილით შესცქეროდნენ საკუთარ ნამუშევარს.

იმის შემდეგ კოლოფში სამი კი არა, ოთხი მეგობარი ცხოვრობდა — ფარგალა, ფუნჯა, ფანქარი და საშლელი. ერთმანეთის გარეშე არაფერს აკეთებდნენ. თუ ერთს შეეშლებოდა, მეორე გამოასწორებდა.

ამიტომ ყველა ნახატი, ძალიან, ძალიან ლამაზი გამოსდით.

შიში

იყო ერთი თმაგაჩეჩილი და მსუქანა შიში. საცერით დიდი თვალელები ჰქონდა. აბა, შიში იყო და იქნებოდა. ხომ გაგიგონიათ — შიშს დიდი თვალელები აქვსო. და ასეც იყო.

ერთხელ შიშმა გადაწყვიტა, ქვეყანა ენახა. მართალია, ძალიან ეშინოდა, მაგრამ ძალიან უნდოდა მოგზაურობა. წაიღო საგზაო და გზას გაუდგა. შიშს განა მხოლოდ მოგზაურობის, ყველაფრის ეშინოდა. ყველაფრის.

მამალი რომ დაიცივლებოდა, გული გადაუქანდებოდა ხოლმე. წვიმა წამოვიდოდა და კუთხეში იბუზებოდა. წყქა-ქუხილის ხმაზე ლამის მინაში ჩამძვრალიყო. დაღამებისას ხომ სულ ერთიანად ცახცახებდა.

ჰოდა, მიდის შიში, მიდის. აქეთ-იქით აცეცებს თვალეებს. მიადგა პატარა ტბას. ახლოს არ მივიდა — უცებ ფეხი რომ დამიცდეს და წყალში ჩავვარდე, მერე რომ ვერ ამოვიდე და დავიხრჩო, რა მესველებაო. შორიასხლოს გაჩერდა და წყლის ცქერით ტკბებოდა. ხედავს, იხვი მოდის, თავის ჭუჭულსთან ერთად. მწყობრში არიან ჩანყობილი, ჯარისკაცებისვით. დედა წინ ამაყად მიუძღვის ჭუჭულებს. მერე — ჰოპ! და სათითაოდ წყალში არ მოადინეს ტყაპანი? ჯერ დედა იხვი ჩახტა, მერე ჭუჭულებიც სათითაოდ მიჰყვნენ:


— ტყაპ! ტყაპ! ტყაპ! ტყაპ! ტყაპ!
ხუთნი იყვნენ. ჩახტნენ და მოუსვეს ნიბებივით თათები.

შიშმა ერთი ამბავი ატყაპა: — რას აკეთებთ! დაიხრჩობთ! ჩქარა, წყლიდან გამოდით!

დედა იხვმა გამოხედა — ვინაა, ცურვას რომ მიშლისო. შიში რომ დანახა, გაცივებულმა ჰკითხა:

— ვინ ხარ? რატომ გაქვს ამხელა თვალები?

— შიში ვარ და, აბა, როგორი უნდა მქონდეს? — იუკადრისა შიშმა.



— ჩამოდი წყალში, ნახე, რა თბილია, — დაუძახა დედა იხვმა. ჭუჭულებიც აჰყვნენ დედას და შიშს წყლისკენ უხმობდნენ.

— არა, ვერ შემოვალ. ძალიან მეშინია, — ხმა აუთრთოლდა შიშს.

დიდი ხვეწნის შემდეგ შიში ახლოს მივიდა ტბასთან. მერე გაბედა და ერთი თითი ჩაყო წყალში, მერე ფეხი ჩადგა. მერე ნელ-ნელა შეტოპა. ძალიან ესიამოვნა. იხვი გვერდით მიცურდა:

— ნუ გეშინია, აქ ვარ. თუ რამე გაგიჭირდება, მე გიმშველიო.

შიშს ცოტა გული მიეცა და გაცურვაც გაბედა. — უჰ, რა კარგი ყოფილა წყალში ცურვა, — აკრუტუნდა სიამოვნებისგან.

— აბა, რას გეუბნები? — ავიხვიხდა დედა იხვი.

შიში ძალიან ბედნიერი იყო. დაემშვიდობა იხვს და ჭუჭულებს და გზა განაგრძო.

მიდის, მიდის. ხედავს, მაიმუნი ხეზე მიძვრება. ხე იმსიმაღლეა, თვალს ვერ აუწვდენ. მაიმუნი ხან კენწეროში მოექცევა, ტოტზე, ხან ცალი ხელით დაეკიდება, ხან ცალი ფეხით. შიშს, ლამის გული გაუსკდა შიშით და თვალბეზვს ხელები აიფარა:

— ვაიმე, არ ჩამოვარდე. რას აკეთებ? ჩამოდი!

— ჩამოვარდე? დამცინი, მეგობარო? მე აკრობატი მაიმუნი ვარ, როგორ უნდა ჩამოვარდე? ნახე, რა შემოძლია!

მაიმუნმა ხელი უშვა ტოტს. ცოტა ხანს ასე იფრინა, მერე სხვა ტოტზე კუდით დაეკიდა და ქანქარასავით დაიწყო ქანაობა. მერე ბზრიალი. შიში თვალს ვერ ასწრებდა, ისე ტრიალებდა.

— ვაიმე, თავბრუ დამეხვა. გაჩერდი! — ისეე დახუჭა დიდი თვალეები.

— ამოდი, გასწავლი ხეზე ცოცვას, — შესთავაზა მაიმუნმა.

— არა, მეშინია. ვერ ხედავ, შიში ვარ.

— გასაგებია. მაგისტომაც გაქვს საცრისხელა თვალეები? — გაეცინა მაიმუნს.

— სულ არა სასაცილო, — ეწყინა შიშს.

— ნუ იბუტები. ამოძვერი, ნახავ, რა იოლია, — მაიმუნი ხიდან ჩამოხტა, შიშს ხელი დაავლო და ხეზე შესვა.

შიში, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აყვირდა და ტოტს ჩაებლაუჭა. მერე სცადა, მყარად დამდგარიყო. მერე ისიც გაბედა, ერთი ფეხით მეორე ტოტზე გადასულიყო. მერე ზედა ტოტზეც ავიდა.

— ეს რა იოლი ყოფილაო, — გაიფიქრა. აძვრა ხეზე, ლამის კენწერომდე ავიდა. რა თქმა უნდა, მაიმუნისვით მოქნილი არ იყო და ისე სწრაფად ვერ დაცოცავდა, მაგრამ მაინც:

— ხომ გეუბნებოდი, არც ისე რთულია, — კმაყოფილი შესცქეროდა მაიმუნი შიშს.

— დიდი მადლობა, მაიმუნო, — დაემშვიდობა შიში და გზა განაგრძო. სარკე არ ჰქონდა, თორემ ხომ ჩახედავდა და დინახავდა, რომ დიდი თვალეები თანდათან პატარავდებოდა.

ამასობაში მოსალამოვდა. ხომ გახსოვთ, როგორ ეშინოდა შიშს სიბნელის. ბურქის ძირას მოიბუზა და ატირდა:

— ვაი, მეშინია... მეშინია.

— რის გეშინია? — მოესმა ამ დროს ზემოდან. აიხედა და ხედავს, ხეზე ღამურა თავდაყირა ჩამოკიდებული.

— როგორ თუ რის? სიბნელის!

ღამურამ გადაიკისკისა:

— სიბნელის როგორ უნდა გეშინოდეს. აბა, შემომხედე, მე მხოლოდ ღამით დავფრინავ. მთელი დღე მძინავს. და არც არაფერი, სულ არ მეშინია.

— მე კი ძალიან მეშინია, — ასლუკუნდა შიში.

ღამურას შეეცოდა.

— იცი, რა? მოდი, დაიძინე. მე აქ ვიქნები და გიდარაჯებ. არ მიგატოვებ.

შიშს ცოტა გული მიეცა. ფოთლები დაიფარა და ბურქის ძირას მინვა. დახუჭა თავისი დიდი თვალეები და მალე მშვიდი ფშვინვა ამოუშვა. ღამურა, როგორც დაჰპირდა, მთელი ღამე დარაჯობდა. დილით, ინათა თუ არა, შიშმა თვალეები დააჭყიტა და დაფეთებული წამოხტა:

— გათენდა? ალარ ბნელა?

— გათენდა. ნუ გეშინია. ახლა ჩემი ძილის დროა, — უთხრა ღამურამ და ასე ჩამოკიდებულმა მილულა თვალეები.

შიშმა დამშვიდობებაც ვერ მოასწრო, უკვე ეძინა.

განაგრძო შიშმა გზა. მიდის, მიდის. აქეთ-იქით იცქირება. უცებ ხედავს — ვიღაც მოდის. თავზე სარტყელივით აქვს შემოხვეული წინკლებიანი თავსაფარი. შიშს უცნობებისაც ეშინოდა, ამიტომ შორი-ახლოდან მიესალმა.

— შენ ვინ ხარ? — ჰკითხა გაუბედავად.

— მე, სიფრთხილე ვარ, — უპასუხა უცნობმა.

— მერე თავზე ეგ რა გაქვს შემოხვეული?

— ეს? თავი რომ არ მეტკინოს. არ გაგიგია — სიფრთხილეს თავი არ სტკივავ?

შიშს გაგონილი კი ჰქონდა, მაგრამ სიფრთხილე აქამდე არ ენახა და მაინც შიშით შესცქეროდა.

— მე კი შიში ვარ.

— მიგვხვი. შენნაირი თვალეები არავის აქვს, — უპასუხა სიფრთხილემ, — იცი, რა, მე და შენ ერთად უნდა ვიაროთ. ჩემთან არაფერი დაგემუქრება.

— მართლა? — გაუკვირდა შიშს.

— კი. გამომეყვი და მიხვდები.

შიში სიფრთხილეს აედევნა. ცუნცულ-ით მიჰყვებოდა და უკან იცქირებოდა. სიფრთხილე გაბედულად მიაბიჯებდა, გარემოს აკვირდებოდა. წინ დიდი თხრილი შემოხვდა. სიფრთხილე გაჩერდა და შიშს უთხრა:

— ხედავ ამ თხრილს? კარგად დააკვირდი. როგორ ფიქრობ, გადახტომას შეეძლებ?

— არ ვიცი. მეშინია.

— ნუ გეშინია, უბრალოდ, დააკვირდი. თუ გეჩვენება, რომ თხრილი ისეთი ფარითა, ვერ გადაახტები, უბრალოდ გვერდი აგუარო.

შიშს ჭკუაში დაუჯდა. ორივემ თხრილს გვერდი აუარა და გზა განაგრძეს.

— გზაში ძალიან მოშვიდა.

— მოდი, ტყეში რამე დავკრიფოთ და ვჭამოთ, — შესთავაზა სიფრთხილემ.

— მერე რომ გვანყინოს? — შეეშინდა შიშს.

— კი, ეგ ნამდვილად შეიძლება. ამიტომ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, რას ვკრიფთ. აი სოკოს ცნობა თუ არ იცი, სჯობს, არ გაეკარო. შეიძლება, შხამიანი იყოს. კენკრაც, ყველა არ იქმნება. ხედავ, ველური პანტის ხეს? მისი ნაყოფი უწყინარია. ოღონდ, ნაყოფი უნდა გავრეცხოთ.

შიშმა ხეზე ცოცვა უკვე იცოდა, აძვრა პანტის ხეზე, დაკრიფა ნაყოფი და უბით ჩამოიტანა. მერე ნაკადულთან მივიდნენ და კარგად გარეცხეს. დასხდნენ ნაკადულის პირას და გემრიელად შეეცქენ.

— რა კარგია შენთან ერთად მოგზაურობა. სულ აღარ მეშინია, — თქვა შიშმა და მადიანად გადაეყლაპა მწიფე პანტა.

სარკე არ ჰქონდა, თორემ ნახავდა, რომ თვალეები დაუპატარავდა და სულაც აღარ ჰქონდა საცრისხელა.

იმის მერე შიში და სიფრთხილე დიდი მეგობრები გახდნენ და სულ ერთად დადიოდნენ...



შობისპირული იდეა. შინ თუ გარეთ ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. ბუნებაც ვეზადებოდა სათოვლად. აბა, ვის გაუგონია შობა უთოვლოდ? ქალაქში თუ არა, მთასა და ტყეებში შავად ჩაძინებულ ხეებს ხომ უნდა გადააფაროს თეთრი საბანი ზეცამ გაზაფხულამდე. ზეცა ხომ ყველას პატრონია: მინისაც, მზისაც, ვარსკვლავისაც, ბელურა ჩიტისაც, ადამიანისაც და პეპლისაც... ჰო, პეპელაზე გამახსენდა. ათი წლის ლილა ბუნებრივად იჯდა და მუხლებზე გადაშლილ უფროსი პეპლების საუცხოო ფოტოებს ათვალთვლებდა. თან დანაწევრებით კითხულობდა: „სერისის ლურჯი, როგორც სხვადასხვაფერად მოლივლივ ლურჯი ფრთების გამო შეარქვეს, სან ფრანცისკოს ნახევარკუნძულის მკვიდრი იყო და ბოლოს ადრეულ 1940-იან წლებში იხილეს — საუკუნეზე ნაკლებ დროში მას შემდეგ, რაც 1852 წელს თავდაპირველად ამოიცივნეს და აღწერეს. სჯერათ, რომ მისი გადაშენება საარსებო გარემოს შემცირებისა და ურბანული განვითარების მზარდმა ტენდენციამ გამოიწვია, რამაც საბოლოო ჯამში პეპლები მოსპო.“ ლილას ცრემლის ლურჯი წვეთი აუბრწყვიალდა თვალზე. ასე ხდება ხოლმე, ადამიანები ჩვენდა უნებურად ვსპობთ და ვანადგურებთ ციციანთებლებსაც, პეპლებსაც, მერე იმედსაც, რწმენასაც, სიყვარულსაც... ამ სამყაროში ყველაფერი ისე ცოტავედება, პატარავედება ან სულაც თავდება. ლილამ გადმოიღო თავისი ვარდისფერი ნიგნაკი და კითხვა ჩაწერა: სად გაქრენ სხვადასხვაფერად მოლივლივ ლურჯი პეპლები?..

რა მისი ბრალია თუკი ყველაფერი აინტერესებს. ლილას უკვე სამი ნიგნაკი აქვს კითხვებით სავსე. დედა, მამა, ბებია, პაპა და მეზობელი დეიდა ფუფაც კი რომ გადალახა ამდენი შეკითხვებით, გამბედაობა მოიკრიბა და უცნობებსაც აჩერებს ხოლმე ქუჩაში, ათას კითხვას უსვამს:

— უკაცრავად, ბატონო, შეგიძლიათ, მიპასუხოთ, თქვენთვის რას ნიშნავს სიყვარული?

სადღაც მაღლიდან გადმოხედავს უცნობი კაცი, ოდნავ დაბნეულ მზერას ესვრის ზურგზე ჩანთამოკიდებულ პატარა გოგოს და მიუგებს:

— პატარავ, თქვენ არ გასწავლეს, რომ ქუჩაში უცნობებს არ უნდა გამოელაპარაკოთ? და მეორეც, მე არც ისეთი სულელი ვარ, გენაცვალე, რომ მჯეროდეს სიყვარულის და მაგდავგარი... უცნობს უნდოდა ეთქვა, სისულელეებისო, მაგრამ ტავტოლოგია გამოუვიდოდა და გაჩუმდა, შემდეგ ჩაახველა და განაგრძო, — სიყვარული არის, შეიძლება ითქვას, ურთიერთ... მშ... პატივისცემა, ურთიერთ... მშ... შეჩვენვა, ურთიერთ... მშ... გაგება, ურთიერთ... მშ... — ურთიერთ ნახვამდის! — მკვირცხლად შესძახა ლილამ, გვერდი აუქცია უცნობს და ხელი ჩაიქინა, ნიგნაკი ალარაფერი ჩაუნერია.

ახლა ლურჯი ავტობუსიდან ჩამოსულ სიჩქარით აქოთქოთებულ ქალბატონს აებლანდა ფეხებში გაჩერებაზე, — უკაცრავად, ქალბატონო, შეგიძლიათ მიპასუხოთ, რაზე ფიქრობთ ხოლმე ხშირად?

— რას ვფიქრობ ხოლმე ხშირად? ვინაა ეს ბავშვი, ვინმეს ხომ არ დაგვკარგათ? რა გინდა, შეილო, რა დროს ფიქრია. გავრბივარ, გამოვრბივარ, ავრბივარ, ჩამოვრბივარ, სად მცალია ფიქრისთვის?! აი, ახლაც გასაქციევი ვარ, ფიქრის დრო სადღა ამ ცხოვრებაში, ვერ ხედავ ციხურით ტრიალებს ეს დედამინა? მოსასწრები ახლა აფერხი, მოსასწრები! — ქალბატონი ახლა გაჩერებაზე ჩამოვლილ სხვა ავტობუსს შეახტა და გაჰყვა.

ლილა გაოცებული და ცოტა სევდიანი იცდდა ერთ ხანს და იფიქრა, დღეს მხოლოდ ერთ ადამიანსა და დავუსვამ კითხვას. დღევანდელი მისია ამოწურული იქნება და არხეინად წავალ სახლში. მაგალითად, აი, სკვერში, სკამზე ჩამომჯდარ იმ სერიოზულ, გაზეთიან ბაბუს დაადგა თვალი. იქნებ მან იცოდეს სად გაქრენ სხვადასხვაფერად მოლივლივ ლურჯი პეპლები?

— ბატონო? — გოცნა ბაბუა, — ასეთი პეპლების შესახებ არც კი მსმენია, მაგრამ თუკი დანამდვილებით გაქრენ, როგორც თქვენ ამბობთ, მაშასადამე, ეს მთავრობის ბრალი იქნება, თუ მთავრობის არა, მაშინ ოპოზიციის. ეგენი ერთმანეთს აბრალებენ ყველაფერს, მაგრამ პოზიციაცა და ოპოზიციაც ერთნაირად პასუხისმგებელია ხალხის წინაშე! დიას, დიას! როგორც თქვენ ამბობთ, პეპლების წინაშე! — საკუთარ ნათქვამს კვერი დაუკრა ბაბუამ, ქუდი მოიხადა და გამოემშვიდობა გოგონას.

შინსაკენ მიმავალი ლილა ფიქრობდა, უფროსებმა არაფერი იციან, და საერთოდაც, ძალიან დაუკვირებელი ხალხია! რაღაცას მოგიროშავენ, რომ თავიდან მოგიცილონ, მაგალითად, როგორც დედა იქცევა, რომელიც მეორე დღის თათბირისთვის კაბას ითხოვს ხოლმე.

— ლილა, რა დროს კითხვებია, ხვალ უმნიშვნელოვანესი დღე მაქვს, შენ კი კბილები გაიხეხე და დანექი!



მაგალითად, მამა, რომელიც ტელევიზორის წინ ზის და ფეხბურთის თამაშს უცქერს ემოციურად, თან კომენტარებს აკეთებს: ყოჩაღ, კვარა, ყოჩაღ, აი, ასე!

— ლილა, რა მკითხე? გოგოოო! კვარააა, კვარაააააა! ოქრო ხარ, ოქრო! — მამას ყელზე ემჩნევა დაბერილი ძარღვები. შეუძლებელია, ასეთ დროს რომელიმე კითხვაზე გონივრული პასუხი გაეცეს.

პაპა არ თვლის არანაირ ინფორმაციას ჭეშმარიტად, სანამ საინფორმაციო გადაცემაში არ მოისმენს. გამოაცხადა საინფორმაციო გადაცემის ნამყვანმა, რომ პეპლები გაქრენ? ესე იგი, ნამდვილი ამბავია, თუ არა და ყველაფერი მოგონილი და ჭორია.

ბებია კი ისე ეფერება ხოლმე სამზარეულოში თავისივე მოზულილი ცომის გუნდას, გეგონება ახალშობილი შვილიშვილი უკავია ხელთ! ხან ჩაის ტილოს ნააფარებს, დაუყვავებს, ამოფუფავებს, დაათუქებს და შენ მსუქანი. შენ გენაცვალე, გაიზარდე, გაფუფულდი და გაბევრდი! მერე ზეთიანი ხელით ერთხელ კიდე გადაზელს და დაასვენებს.

სათვალის ზემოდან გამოიხედავს ლილას: შენ კიდევარ გძინავს, ლილა, დაძინე, ბებო, დაძინე, თავს ნუ ინუხებ ამდენი ფიქრით; ნახე, ხვალ როგორი საშობაო ღვეზელები დაგახვედრო დილით!

აი, მეზობელი დეიდა ფუფა კი, როგორც კი კარს გააღებს და ვარდისფერ ნიგნაკთან და კალმთან ლილას დაინახავს, მაშინვე თავზე იტკუცავს ხელს: ახლა არ მცალია, წნევა მაქვს, ლილა, წნევა, თავი მენვის უკვე შენი გამოკითხვისგან, დამეხსენ! — ასე, უცერემონიოდ, ცხვირწინ მიუხურავს ხოლმე კარს.

ძალიან კარგადაც იცის ლილამ, რომ წნევა არა აქვს დეიდა ფუფიკოს, მაგრამ ასე იმიტომ ამბობს, რომ ეზარება კითხვებზე პასუხის გაცემა. ლილას ნიგნაკი ინტერნეტიდან გადანერილი პატარა ბავშვების პასუხებიც უწერია, რა არის სიყვარული. ისეთი საოცარი პასუხებია. ჩახედავს ხოლმე, გადავიკითხავს და გაიღიმებს. ბავშვებმა მართლაც ყველაფერი იციან.

აი, მაგალითად — როცა ჩემი ბებო ართრიტით დაავადდა, ვეღარ იხრებოდა, ვეღარც ფეხის ფრჩხილებზე ისვამდა ლაქს და ამ საქმეში ბაბუ ეხმარებოდა მაშინაც კი, როცა თავადაც დაუჯავდა ხელები ართრიტით. აი, ეს არის სიყვარული.

— სიყვარულია, როცა შემწვარ კარტოფილს სხვას უწილადებ და სამაგიეროდ არაფერს სთხოვ.

— სიყვარულია გაიძულებს, გაიღიმო, როცა ძალიან დაღლილი ხარ.

— სიყვარულია, როცა დედა ყავას უმ-

ზადებს მამას და მიტანამდე მოსვამს, რათა დარწმუნდეს, გემრიელია თუ არა.

— სიყვარულია, როცა ბიჭს ეუბნები, — შენი პერანგი მომწონსო, ის კი ამ პერანგს ყოველდღე იცვამს.

— სიყვარულია, როცა გეუბნება, ნამო, სუპი ერთად ვჭამოთო, ან თავის წილ სუპსაც შენ გითმობს.

— სიყვარულია, როცა შენი ლეკვი სახეს გილოკავს მაშინაც, როცა მთელი დღით შინ მარტო დატოვე.

— როცა ვინმეს უყვარხარ, შენს სახელს განსაკუთრებულად წარმოთქვამს და იცი, რომ შენი სახელი სამუდამოდაა დაცული.

იგი წეს... ნუ, კარგი, ერთი დღე ჯვანდაბადე გზა მაგას ჰქონია, ავიტან.

— ექიმო, თქვენ შეგიძლიათ, თქვენს პაციენტს მწარე ნაშვლებთან ერთად ერთი ტკბილი სიტყვა ან მომავლის იმედი გამოუწეროთ? ან დაარწმუნოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება?

— ყველაფერი ზუსტად ისე იქნება, როგორც უნდა იყოს, ტკბილი სიტყვები ასე რომ ვარიგო, იცით, რამდენი პაციენტი მოდის?... — და ექიმსაც სიტყვა გაუწყდა, — კარგი, კარგი. მე ხომ ისედაც ვგმსურს. დავეხმარო თითოეულ ადამიანს ნამლით თუ სიტყვით.

— ფარმაცევტო, თქვენ შეგიძლიათ, ერთ დღეს აფთიაქში შემოსულ პენსიონერს არ გამოართვათ ნამლის ფული?

— იცით, რა დაბალი ხელფასი მაქვს? არც არაფერი მყოფნის, მაგრამ, ნუ, აი, ერთ ცალ წნევის ნამალს გავატან უფასოდ!

— ხაბაზო, თქვენ? თქვენ შეგიძლიათ, აი, ის გაბურძნევილი კაცი, რომ ნაგვის ურნაში იქექება, შეამჩნიოთ და აჩუქოთ ერთი ცხელი პური?

— აბა, აბა, სად იქექება? ფქვილიანი როგორ გამოვევარდე საცხობიდან, და ერთი პურიო? — გადაითვალა, — ყოველდღე თუ ვაჩუქე, თვეში ოცდაათი პური გამოვივა. ნუ, კარგი, ძუნწი არ გეგონოთ, ერთ დღეს შემეძლია, ვაჩუქო!

— მაშველო, თქვენ შეგიძლიათ, გაყინულ მტკვარში იმ მანანალა ძაღლის გამო გადახტეთ და გადაარჩინოთ?

— ცივ მტკვარში ძაღლის გამო? და ცოტა რომ შემთბობო მტკვარი?! არა? კარგი, მე ხომ მაშველი ვარ და ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, ძაღლის გამოც გადავხტები, აბა, სხვა რა გზა!

— მძლოლო, თქვენ შეგიძლიათ, არ შეაგინოთ თქვენს წინ ზოზინით მიმავალი მანქანის პატრონს?

— უხ, მაგისი... როგორ მიშლის ნერვებს! როგორ არ შევაგინო, შტერი ბატონი დადის მინდორში! კარგი, ერთი დღე შევიკავებ თავს და არ შევაგინებ, მაგრამ შეიძლება, ავტოსაყვირი გამოვიყენო მაინც?

— ჯარისკაციო, თქვენ შეგიძლიათ, ომში, სულ ცოტათი მაინც, გიყვარდეთ თქვენი მტერი?

— მტერი მიყვარდეს? ააამხელა სიყვარული არ შემიძლია, მაგრამ კარგი, სულ ცოოოტათი მეყვარება და არ ვესვრი ტყვიას ერთი დღე.

— მენაღვე, თქვენ შეგიძლიათ, სულ ახალი ფეხსაცმელი შეუქეროთ იმ ობოლ ბავშვს და აჩუქოთ?

— მა, ფულს მერე ვინ გადაიხადოს? კარქი, გოგო, კარქი, ერთცალი საჩუქარი იყოს, ნალდად ობოლია, რო?

— მოხუცთა თავმესაფრის დირექტორო, თქვენ შეგიძლიათ ერთ დღეს მართლა შვილივით მოუწაროთ თავმესაფრის თითოეულ მობინადრეს?

— იცით, ჩვენი ბენეფიციარები, — ეს სიტყვა ისე განეღივალა წარმოთქვა, თავადვე შერცხვა, — ყოველ შემთხვევაში, შევეცადები, დიას, — დარცხვენით ჩაიჩურჩულა.

— საბრალო მათხოვარო, შეგიძლიათ, თქვენი ხურდა ფული გაუნანილოთ თქვენს გვერდზე მდგარ სხვა მათხოვარს? მან დღეს ვერც ერთი თეთრი შეაგროვა.

— როგორ სულ ვერაფერი? კარგით, გაფუფოვ რამდენიმე თეთრს...

კითხვებმა იფრინეს, იფრინეს, გადაიფრინეს თოვლიანი მთები, მოყინული გზები, მიტოვებული სოფლები, ხალხით სავსე ქალაქები და ქუჩები. კითხვებმა ადამიანები დააფიქრეს, საკუთარ გულში ჩაახედეს და თითქოს სხვანაირი დილა გათენდა. სიხარულითა და იმედით სავსე დილა. გარდა ამისა, ახალგაღვიძებულ, ბალიშიდან თავნამოყოფილ ლილას, ესმოდა ოთახიდან საინფორმაციო გადაცემები როგორ აცხადებდნენ: ხენსაციაა! ნუხელ ქვეყანაში ლურჯი თოვლი მოვიდა!

ლილა მაშინვე წამოხტა და ფანჯარაში გაიხედა. მართლაც ლურჯად ლივლივებდა ტროტუარები, გზები, ხეები და სახლები სახურავები. ჰაერშიც ლურჯი ფიფქები დაფარვატებდნენ. უფრო სწორად, ადამიანებს ეგონათ, რომ ლურჯი ფანტლები ცვიოდა ციდან, თორემ თვალეგაბრწყინებული ლილა ხედებოდა, როგორ შეისმინა ღმერთმა მისი ვედრება და საშობაოდ თოვლის ნაცვლად სხვადასხვაფერად მოლივლივ ლურჯი პეპლები გადმოფერთხა ზეციდან.



ილია გველესიანი

ავად არის მარიკო

ავად გახდა მარიკო, დღეს ზეიმზე არ იყო. თურმე გუშინ წვიმაში მაისურით მდგარიყო. ახლა წვეს და ახველებს, ელოდება მნახველებს. პატარა და ჩუმ-ჩუმად დასცინის და ახველებს. საზეიმო კაბა და თბილი გრძელი ლაბადა ერთი კვირით კარადას შესანახად ჩაბარდა.

აინონა-დაინონა

აინონა-დაინონა ვის არ უთამაშია? ვინც არ იცის ეს თამაში, აბა, ის რა ბავშვია! ზემოთ ქვემოთ, ზემოთ ქვემოთ ავდივართ და ჩავდივართ. ყველაფერი თვითონ ხდება, ადვილად და მარტივად. მალა, დაბლა, მალა, დაბლა ვფრინავთ, ფრთები გვასხია. თითქოს მიწას ცა ქვია და მიწა კიდევ ცას ქვია. არც კანფეტი გვენატრება, არც საჭმელი არ გვშია. ვინც არ იცის ეს თამაში, აბა, ის რა ბავშვია!

ალექსანდრე ბატონო

ალექსანდრე ბატონო, ჩვენ შენთან ვართ მოსული. სტუმრებს, აბა, ვინ ხვდება ასე სერიოზული?

გაიხადე კოსტუმი, მოიხსენი ჰალსტუხი. სულ შენთვის რომ ტიტინებ, ჩვენც გვალისრე პასუხი.

მოგვიყვი ამბები, ეგ წარბები გაშალე. თვალს ასე რომ გვარიდებ, რამეს ხომ არ ვაშავებთ!

ალექსანდრე ბატონო, ნეტავ რას გვებუტები. მოგვენატრე ძალიან, ერთხელ ჩაგეხუტებით.

რადგან ჩვენი მოსვლა და სტუმრობა არ გახარებს, ჩვენს მოტანილ კანფეტებს გავუგზავნი ბახალებს.

ბაზარში გასაყიდი

აჯაჯულა, დაჯაჯულა, იო, როგორც მაჯლაჯუნა. ისე ჯღავის ქალაჩუნა, დედამაც ვერ გააჩუმა. გოგონები უყურებენ და ჩუმჩუმად ფხუკუნებენ; დედის გულს რომ ახარებენ, ბიჭუნები ხარხარებენ. მამას ურჩევს ძია რეზო: — არ დაწყნარდა თუკი დღესო, ხვალე ბარგი აჰკიდეთო და ბაზარში გაყიდეთო!

გადი-გამოდი, გუთანო

გადი-გამოდი, გუთანო, ახლოს ნუ მიხვალ ბურთთანო. დღეს მომიტანეს ახალი, განა ძველია, ნახმარი. დავხტი, ვთამაშობ ხარხარით, სულ სიყვარულით დავხარი. ცოდვებით რომ არ იწვოდე, არ გამიხეთქო, იცოდე! ეს ჩემი დარდი, გუთანო, გთხოვ, მიიტანო გულთანო. ესპანეთიდან გიტარა ბაბუამ ჩამომიტანა. სულ შენ წინ ვივლი ხარისებრ, სიმღერით გაგა-ხალისებ.

დედა-შვილი

როცა კარგად დავაკვირდი ჩემს თოჯინა ბარბის, მაშინ მივხვდი, როგორია ხასიათი ხარბის. ყველაფერზე თვალი რჩება, ყველაფერზე ტირის. დღეში ხუთჯერ მაყიდინებს შოკოლადს და ირისს. ვინ ასწავლა, ვერ მივმხდარვარ, ზე აწევა წარბის. ჩემთვის წუთით აღარ იცლის, მუდამ სადღაც გარბის. თუ შენ არის, კაპარჩხანობს, დადის თმაგაშლილი. ვერ გაიგო, მე დედა ვარ, ის კი — ჩემი შვილი. აღარც კაბას ვუკერავ და აღარც ქვედა საცვალს. ჩემი ცელქი ბარბისათვის ვეძებ დედინაცვალს.

ერთი კვირა თავდაყირა ცელქობის წინ წასაკითხი აბაუბდა

აჩაბაჩა, აჩაბაჩა, დავჩანჩალე ბაღჩა-ბაღჩა. სახელოზე მქაჩავს ყანჩა. სახლში დამრჩა მე დამბაჩა. ველი ბაჩას, მაგრამ არ ჩანს, შეეჩვია ტბაში ხვანჩალს. ნორჩი დაჩი ცალი ბაჩით მიხტის ბაღში, როგორც არჩვი. მაჩვები რომ არ ჩივიან, არჩვი ლომის არჩვი. ფაჩიფუჩი, ფაჩიფუჩი, ზღაპარს გეტყვი ჩუმად ყურში: გახეთქილი დრუნჩა დრუნჩით მიდიოდა შინდის ჩურჩვით. ღობე-ღობე დარბის ღორი. ქარის ქოხში ცხოვრობს ქორი. ტატას კატა ფოთლებს ფანტავს. რატის ბატი ხატავს ფატას. ვიას ბია ბუსთან მიქვს. ია ნიას ჩუქნის ქლიავს. დაამტვრია თაზომ ვაზა. ეს თასი სჯობს მათარასა.

თხას რაც მოსწონს, აი, რაა: ღირაა და დაირაა. ეს ხომ ნაღდად ნოხი არის? დღეები გვაქვს ხოხიალის. ზუსტად მახსოვს: ათი ფუთი ბატმა ჭამა ბატიბუტი. გაუთავდა, გაიბუტა, სულ ბუმბული დაიბუტა. დადიოდა შარა-შარა, არ იცოდა, სად ეშარა. სიზმარში ვარ, თუ რა არის? გავიხდე — ტურა არის. ზღარბზე იყო შემომჯდარი, თავზე ედო ჩემოდანი. ცხვირში კაი მჭრელი დანით მოჰყვებოდა ჩაიდანს. არავინ ჰყავს ბადალია წეროს სმაში, მართალია. გაიხადა სანდალია, ჯიხვის ყანნი რვა დალია. გადათვრა და გასულელდა, ცეკვას ფრანგულს ასრულებდა. აურია მწყერებს ბინა, ჩაუმტვრია ფანჯრის მინა. ერთი არ კი გაიცინა, მიწვა ტახტზე, დაიძინა. ვერ გავიგე, სად რა ხდება, ვგრძნობ, გუნება ნამიხდება. დღეს ისეთი ამინდია, ვერავისთვის გამინდია. ცხენი წინ თუ გამიხტება, დღეს სიზმარი ამიხდება. ეს სამყარო კვირა არის, რაც კი თავდაყირა არის. წესრიგი რომ დაამყაროს, ვინ უშველის ამ სამყაროს? შველა შველმა დააპირა, ვერას გახდა, განაპირდა. ოცნება და ზღაპარია სულს რომ ცისფრად აფარია. „შევიბნიე ყილსაბამი, ასე მორჩა ეს ამბავი.“

ვაფრთხილავთ მანქანებს!

მანქანებო, ნუ დადიხართ ასე მუხრუჭაშვებით! ჩვენც ხომ გვინდა, გადავიდეთ ქუჩის იქით ბავშვები. ჩვენ რომ რამე დაგვემართოს, აბა, მერე რას შვრებით?! საქართველოს დააკლდება ქალები და ვაჟები!

ვმღერით, ვმღერით!

ვმღერით, ვმღერით, გვიხარია — ერთად ვართ ყველანი! არ ჩერდება, ცისკენ მიჰქრის ჩვენი ლურჯი მერანი. ტკბილხმიანი სიმღერები ჩვენში მუდამ სულ იყო. არ მომკვდარა, ისევ ველით, გამოჩნდება სულიკო. ცრემლების ზღვას შევუერთებთ ჩვენი ცრემლის შენაკადს და სიმღერით ძეგლს დავუდგამთ თავსაფრიან დედაკაცს. ჩვენი მინა, ჩვენი ზეცა — ქართველების სახატე, ჩვენმა გმირმა წინაპრებმა სიმღერებში ჩახატეს. ვისაც თოფი უკავია, განა ყველა გმირია! ისევ დაიბადებიან ლუხუმი და კვირია.

თუკი კარგად მიაყურებ, გაიგონებ ლოცვის ხმას და ანგელოზს დაინახავ გალობით რომ ხორცს ისხამს. ვმღერით, ვმღერით!.. სიმღერებით ვმალდებით და ვიდიდებით.

მალე, მალე გავიზრდებით, საქართველოს ვჭირდებით. ყვავილების წვიმა მოვა, მზე ამოვა ხატულა, ოღონდ ყველამ წრე შევკრათ და დავამღეროთ ქართულად!

თიკლე მკაცლა

ძველ წელიწადს თეკლე იყო ჩვენი მეკვლე. მოგვილოცა წელი ახალი და ძველი. რომ იცოდეთ, უფ რა გავუშაღეთ სუფრა! გავასინჯეთ ჩვენი ბლის და ატმის წვენი. ტაში დავცხეთ ყველამ, რომ იცეკვა გელამ. მარტო მე ვთქვი ექვსი ახალ წელზე ლექსი. არ ჩამომრჩა ბექა, თოვლზე ლექსი ჭექა. შეგვარცხვინა მარტო ერთი ციდა კატომ: ტორტი ისე ლოკა, მოეთხუზა ლოკა. დრო ვატარეთ ვერე. შინ წავიდა თეკლე.

ლოთი

ლიმონათით არასდროს, მორჩა, აღარ დავთვრები, რადგან მესიზმრებიან მერე ძილში დათვები. ღრიალებენ: — ეს ლოთი დაიჭირეთ, დაკალით! — მეღვიძება პატარას ტირილით და კანკალით. სიმთვრალეში არ ვიცი გინება და არევა... რა ვქნა, აღარ შემერგო ლიმონათის დალევა.

მაგიდა გაშვია

ჭკვიანი და გამგონი პანანინა მაგიდა საღამო ხანს დაბრუნდა შინ საბავშვო ბაღიდან. თქვა: — ბავშვები ქუჩაში ათას რამეს ვეხებით! დაიბანა ხელები, დაიხეხა ფეხები, გაიკეთა ფართუკი და ღლინით დაიწყო: ცომი ააფუმფულა, ფუნთუშები დაიცხო. ტკბილზე ტკბილი ხილფაფა აფუა და ხარშა რა, თავის თავზე მაგიდამ, სუფრა მაშინ გაშალა. ვახშმის შემდეგ ოთახი დახვეტა და დაწმინდა. სარეცხი რომ ჩამოხსნა, ზუსტად მაშინ განვიმდა. პანანინა მაგიდას ცხოვრება უხაროდა. საყვარელი თოჯინა ჩამოიღო თაროდან. ეთამაშა, მოუყვა თავის ბაღის ამბები, მერე სიცხე უზომოა, ასეა მწარე აბები. მერე თავის რვეულში ფერად სახლებს ხატავდა... ეს დღეც გარჯა-თამაშში გაილია, გათავდა. რა კარგია ბავშვობა, რა ცუდია დიდობა! თბილ ლოგინში ჩანვა და ყველას დაგვემშვიდობა.





ილია გველესიანი

როგორც სტუმარი, და არა — მტერი, შემოვფრინდები თქვენს სახლში მწერი.

დაცხა და, ვიცი, ღმერთი მიშველის. თქვენი მუცლები მიყვარს შიშველი.

მოკლე მომეცა სიცოცხლის უამი. არსად დამიდგათ ძმრიანი ჯამი.

არ მიყვარს, ბავშვი ხელებს რომ იქნეს, ყვირის და ისერის ჩანთებს და წიგნებს.

მე მოვწუილებ თქვენთან ღირსებით! თუ ხელს დამარტყამთ, გავისრისები.

ნუ დამიხვდებით ამრეზით, ზიზლით, გამიმასპინძლით, კარგებო, სისხლით.“

შენახული ღამეები

ტყის მცველებმა გაგვამწარეს, გვანყველინეს დათვობა. ბუნაგებში გამოგვირთეს სინათლე და გათვობა. გული გვწყდება, მულტფილმებზე დიდი ხნით ვერ ვიცინებთ. რალა დაგვრჩა, ჩვენც მთელ ზამთარს დავწვებით და ვიძინებთ.

ჯარში

მიყვავთ ინდაური

ერთი, ორი! ერთი, ორი! ჯარში მიჰყავთ ინდაური. ტაში, ტაში — უკრავს ტაშტი, ცეკვას ქართულს ვინ დაუელის? ყველამ შევეკრათ წრე, წრე, წრე, წრე, ალარ ითმენს დრო და ხანი. საცეკვაოდ ხტება ბატი, აბა, განი, განი, განი. ფეხები რომ ათამაშა, მტერის ადინა მინას ბოლი. როგორც ტაში ნაზი გედი, დასრიალებს წრეში გნოლი. ცეკვას ქართულს, გენაცვალე, ენაცვლება კინტაური. ჩქარა ტაში, კარგი ტაში, იფხორება ინდაური. ნივნივებენ წინილები, აი, ასე: ნია, ნია! მე კი, ამთ შემხედვარეს, სიცხემ უცბად დამინია. სჯობს, გავუშვათ ინდაური, ალარა ღირს დახანება. თქვენ კი ყველას ღმერთმა მოგცეთ სიკეთე და გახარება.

ბატყარა მელაკულა

მეუბნება მელაკულა: — გეფიცები, სოფიო, შემეყვარდა ამ ბოლო დროს მოხალული ღობით. მოხარული კანფეტები, დაბრანული კაკაო, თუკი გიყვარს შენც ჩემსავით, მოდი, ხელი დაკაო... მიყვარს ხორცი ობობის და თაფლი ლურჯი გედისა. გაგიუდები ორივეზე, თუ გასინჯვა გელირსა. იხეები და ბაჭიები, აჰ, რა ჩემი საქმეა! თუ არ გჯერა, დათვსა ჰკითხე, მისი სახლი აქვეა. დედლებსა და ვარიებზე ალარ მომდის ნერწყვები. ხოლო, აი, ცხელი კიტრის!.. იფ!.. იფ!.. ჭამით ვერ ვძლები, — მელაკულამ ტყუილები დაასრულა, იცი, რით? გაიშხლართა მინაზე და გაიგულა სიცილით.

მუსიკოსები

ყვავი მღერის რეპს. ჯორი უკრავს ჯაზს. რაც არ გვესმის, მას ვერ დაუწყებთ სჯას. აჩქარებით ნუ გადავუსვამთ ხაზს. შევეკითხოთ, სჯობს, სპეციალისტ თხას.

მხიერი კოლოს წერილი გავშვავს

„ამ წერილს თქვენთან ქუჩიდან ვგზავნი, გთხოვთ, მიმასპინძლეთ მშეირი მგზავრი. საბუდარიდან ავფრინდი კოლო... შენთან მოვფრინავ, ლამაზო გოგო; ნუ დაიზარებ, კეთილო ბიჭო, ფანჯარა ღამით დატოვე ღრიჭოდ.

აკაკი დაუშვილი

მცივანა თოვლის ბაბუა



ღილიდან თოვდა, ხვავრეილად ბარდნიდა და ფანტლებმა ქალაქი თეთრად დაფარა. ბავშვებმა გუნდაობით გული რომ იჯერეს და კარგადაც ისრიალეს, კორპუსის წინ, სკვერში, თოვლის ბაბუას აწყობა გადანიჭეს. ტატომ დედას ცხვირისთვის სტაფილო გამოართვა, ვილაცამ დაჭეჭყილი ვედრო მოიტანა, ერთმა ფერადი კენჭები მოარბენინა, საიდანაც ცოცხიც გაჩნდა. მართალია, ჩამოხვდნა, მაგრამ ღამ-პიონების შუქზე კარგად ჩანდა სტაფილოს ცხვირი, კენჭის თვალები და პირი. თამაშით დაქანცული ბავშვები თოვლის ბაბუას დაემშვიდობნენ და ნელ-ნელა სახლებში გაიკრიფნენ. ტატომ ივანე და მეორე სართულის ფანჯრიდან თოვლის ბაბუას გადახედა. ფიფქები ისევ ფარფატით ეშვებოდნენ. უცებ ქარმა დაუბერა. — დედა! — აღელვებით დაიძახა ტატომ. — გისმენ, — ქალმა სამზარეულოდან გამოსძახა. — თოვლის ბაბუას შესცივდება, — ტატო შეფიქრიანდა, სახე მოელუშა. დედა ბიჭს ღიმილიანი სახით მიუახლოვდა: — მოდი, შენი ძველი ყურებიანი ქუდი დავახუროთ და ჩემი მოქსოვილი კაშნი ყელზე შემოვავსოთ. — კარგი, — გახალისდა ბიჭი. სასწრაფოდ გარეთ გავიდნენ, თოვლის ბაბუას ქუდიც დაახურეს და კაშნიც ორჯერ შემოახვიეს ყელზე. — ახლა თბილად იქნება, — გაუხარდა ტატოს. — ალარ შესცივდება, — დაეთანხმა დედა. ტატო ძილის წინ კვლავ ფანჯარასთან დადგა. უცერად ქარი გაძლიერდა. — დედა! თოვლის ბაბუას, თითქოს სიცივისაგან გააკანკალა, — შემფოთდა ტატო. — ეტყობა, ძალიან მცივანაა. მოდი, მამას ქურთუკი ვაჩუქოთ, — გამოსავალი მონახა ქალმა. — მამას რო ეწყინოს? — შეფიქრიანდა ტატო. — დიდი ხანია, ალარ ჩაუცვამს. მამა ამაღამ მორიგეა, დილით რომ დაბრუნდება, თოვლის ბაბუას შეხედავს, ჩემს მოქსოვილ კაშნეს, ქუდს და ქურთუკს იცნობს და გაეცინება. თანაც, ამაღამ შობაა. ქალმა გარდერობიდან ქურთუკი გამოიღო, სკვერში დაბრუნდნენ და თოვლის ბაბუას მოახურეს.

— ცხვირი ალარ გაეყინება, — გაიცინა დედამ. — სიცივე ველარაფერს დააკლებს, — კმაყოფილი სახით თქვა ტატომ... დილით ალარ ბარდნიდა, ცივი ქარი კი ისევ დაქროდა. საწოლიდან წამოხტარმა ტატომ მაშინვე ფანჯარასთან მიიბრინა და გაკვირვებულმა შეჰყვირა: — თოვლის ბაბუას ქურთუკი ალარ აცვია, ალარც ქუდი აქვს და ალარც — კაშნი! — ალბათ ვინმეს აჩუქა, — დაასკვნა ქალმა, ტატოს თმა აუჩქრა და გაბუშტული ლოყები დაუკოცნა. — ნავალ, კეთილ თოვლის ბაბუას მოვეფერები, — ტატომ ტანსაცმელი საჩქაროდ გადაიცვია და გარეთ გავარდა. ბიჭი თოვლის ბაბუას რომ გაუსწორდა სკვერის ბოლოს მამა დაინახა. კაცმა მისკენ გამოქანებული ტატო ხელში აიტაცა, აკოცა, ძირს დასვა და უთხრა: — ნელან ერთი კაცი შემომხვდა. ჩემი ძველი ქურთუკი ეცვა. დედას მოქსოვილი კაშნიც ვიციანი და შენი ყურებიანი ქუდიც. უცნობს ეჭვის თვალთ რომ შეგხედე, გაჩერდა, დაირცხვინა და თავის გასამართლებლად მიიხრა, ეს ქურთუკი თოვლის ბაბუას ეცვა, კაშნიც მას მოვხსენი და ქუდიც მოვხადე. ძალიან მციოდა. დღეს შობაა და ეს ყველაფერი ღვთის ანგელოზების წყალობად ჩავთვალე. — მე და დედა ანგელოზები ვყოფილვართ, — სიამაყით თქვა ტატომ. — იმ ადამიანს ფული ვაჩუქე, ესე იგი, მეც ანგელოზი გამოვდივარ, — სახე გაუნათდა მამას, მერე კი დაამატა, — არა, ანგელოზებად ვერავინ ვიქცევით, სიკეთის გაკეთება კი ყველას შეგვიძლია. მოულოდნელად ქარმა ხიდან თოვლი ჩამოყარა და სიმძიმისაგან გათავისუფლებული ტოტი აქანავდა. ბიჭმა ხეს ახედა, მერე ცას, თვალები გაუბრწყინდა და მამას უთხრა: — ეტყობა, ტოტზე ღვთის ანგელოზები ისხდნენ და გვისმენდნენ. — აქვე იქნებიან, სურვილი ჩავუთქვით, — კაცმა ცას ახედა. ტატომ რალაც ჩაილაპარაკა, სახლისკენ შებრუნდა და სიხარულით შესძახა: — მამა, სურვილი ამისრულდა, ფანჯრიდან დედა ანგელოზი გვიყურებს! ქალის სახეს ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. — რა კარგია, როცა შობის დღე დედის ღიმილითა და ხეზე შემომხდარი ანგელოზებით იწყება, — აღტაცებით თქვა მამამ, ტატო მხარზე შეისვა და სახლისაკენ გაემართა.

შემდები ნომერი გამოვა 2024 წლის 19 იანვარს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
სამრეწველო და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მინისტრის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ქურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004